№ 2975
კვირა,
8 იანვარი

ცნობის ფურცელი

№ 297
კვირა
8 იანვარი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში დ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლი ა ქ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе" ტელეფონი № 372

„ცნობის ფურცელი" 1905 წლის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ მხოლოდ იანვრის თოთხმეტამდე.

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან. ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან. ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

„ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели

„ნაპერწკალი"

სახუმრო კარიკატურებიანი ჟურნალი

პირველი ნომერი გამოვა 22 იანვარს

გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით, 4—8 გვერდი. კარრიკატურები დაიბეჭდება ფერადის წამლებით. ჟურნალში გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარ ოსკარ შმერლინგისა, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან და მიიღებენ მონაწილეობას მხატვრები—გრინევსკი და როტტერი.

ფასი ჟურნალისა წელიწადში 4 მან., თვეში 40 კაპ., ცალკე ნომერი 8 კაპ.

„ცნობის ფურცლის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ „ნაპერწკალი" გაეგზავნებათ ერთის მანეთის დამატებით, ე. ი. გაზეთის ხელის მომწერნი წლიურ ექვსი მანეთის მაგივრად შვიდ მანეთს გადიხდიან.

„ნაპერწკლის" წლიურ ხელის მომწერთ 3 მან. დამატებით გაეგზავნებათ გაზეთი „ცნობის ფურცელიც".

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Наперцкали".
რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გაზეთ „ცნობის ფურცლის" რედაქცია მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას თავის თანამშრომლის სტუდენტის

ილია ხირსელის

უდროოდ დაკარგვას და იწვევს პანაშვიდზე, რომელიც გადახდილი იქნება კვირას, 8 იანვარს, დილის 11 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. (2—2)

ავლიტა გრიგოლის ასული, დავით დიმიტრის ძე და გრიგოლ დავითის ძე ხირსელნი დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი—ძვირფას შვილის, ხოლო უკანასკნელი საყვარელ ძმის, მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტის

ილია ხირსელისას,

რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა მოსკოვში უკანასკნელ არეულობის დროს. პანაშვიდი კვირას, 8 იანვარს, დილის 11 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. (2—უ.—2)

მართა დავითის ასული და გიორგი დავითის ძე აგლაძენი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფას ძმის, ხოლო მეორე ცოლის ძმის სტუდენტის

ილია ხირსელისას.

პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, 8 იანვარს, დილის 11 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. (2—უ.—2)

გრიგოლ სამსონის ძე, ნინო და მარიამ სამსონის ასულნი რცხილაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას საყვარელ მამიდაშვილის, სტუდენტის

ილია ხირსელისას.

პანაშვიდი კვირას, 8 იანვარს, დილის 11 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში.

მღვდელი სიმონ რცხილაძე, დავით, მიხეილ და ტარასი გრიგოლის ძენი რცხილაძენი სახლობებითურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას დისწულის სტუდენტის

ილია ხირსელისას.

პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, 8 იანვარს, დილის 11 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. (1—1)

ქალთა საეპარქიო სასწავლებლის საბჭოს

განცხადება.

ქალთა საეპარქიო ტფ. სასწავლებლის საბჭო აცნობებს მოსწავლეთა მშობლებს, რომ ვრიდან სასწავლებლის საერთო საცხოვრებელსა და აგრეთვე თვით სასწავლებელში დარჩენა შეუძლიანთ მხოლოდ იმათ, ვინც გადიხდის დაწესებულს ფასს შენახვისა და სწავლისას 1905/6 სამოსწავლო წლის მეორე ნახევრისას და აგრეთვე 1-ლ ნახევრის ნედოიმკას, ვისზედაც დარჩენილია. (3—2)

ა. პ. შულგინა-მესხი

გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

მედიცინის დოქტორი
გ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა. იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის ნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევ . ცეცხლის საქრობ რაზმის პირ ტელეფონი 711. (50—368—42)

კბილის ექიმმა
ი. ზ. კანდელაკმა

განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

ექიმი
გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვერენიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—12)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს.

კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი
გ. პ. ბეზირგანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ. (თვ.—21)

ტფილისი, 8 იანვარი.

მომავალი ტაქტიკა.

სახელმწიფო სათათბიროს უკვე საკმაოდ ვრცელი ისტორიული წარსული აქვს, თუმცა იგი ჯერ ბიუროკრატიის საკანონმდებლო სფერებს არ გასცილებია და ცხოვრების სინამდვილედ არ გადაქცეულა. ამ დაწესებულების ისტორია, თანდათანი განვითარება და ცვალებადობა მეტად საგულისხმო ფაქტია, რომელიც რუსეთის ეხლანდელ მთავრობის უნიადაგობას და უმტკიცობას სამაგალითოდ ასურათებს, მაგრამ საინტერესოა თვით რუსეთის საზოგადოების აზრთა რყევა და სხვადასხვაობა, რომელსაც იწვევს საკითხი სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის შესახებ.

რუსეთის საზოგადოება ამ საკითხმა თავიდამვე ორ ნაწილად გაჰყო; ერთი ნაწილი, ერთი რიგი პოლიტიკურ მოღვაწეებისა და პარტიებისა პირდაპირ წინააღმდეგი იყო სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობისა, მეორე კი, პირიქით, საჭიროდ სთვლიდა ყოველივე ღონე ეხმარა არჩევნებში გასამარჯვებლად და შემდეგ თვით სახელმწიფო სათათბიროში ცდილიყო, რუსეთის ძირითადი კანონები შეეცვალნა. ეს აზრთა სხვადასხვაობა, რა თქმა უნდა, შემთხვევით მიზეზებს არ მიეწერება, ნიადაგი უთანხმოებისა ღრმად არის გათხრილი პოლიტიკურ აზროვნების მთავარ პრინციპებ შორის და, ამიტომ, არც საკვირველია, რომ ხანგრძლივმა კამათმა დღემდე თანხმობა ვერ შექმნა.

ლიბერალურ პარტიებს გულწრფელად სწადიანთ, ისეთი მიმართულება მისცენ ეხლანდელს მოძრაობას, რომ სრულიად მშვიდობიანად შეიცვალოს თვითმპყრობელობითი რეჟიმი და წესიერების დაურღვევლად განხორციელდეს დემოკრატიული ფორმა მმართველობისა. ამიტომ, ლიბერალების დევიზია, დაეხმარონ ეხლანდელ მთავრობას, რამდენადაც იგი განახლების სურვილს იჩენს,—და ისარგებლონ მთავრობისაგან განზრახულ სახელმწიფო სათათბიროთი მშვიდობიან რევოლიუციის მოსახდენად.

მშვიდობიან განახლების აზრი თავის თავად ისე მიმზიდველი და მომხიბლველია, რომ კაცს ლიბერალების ტაქტიკა უმაღლეს კეთილგონიერებად ეჩვენება, მაგრამ ლიბერალების უბედურობა ის არის, რომ მშვიდობიანური ტაქტიკა მშვიდობიანობის ხანაშია გამოსაყენებელი და არა სარევოლიუციო მოძრაობის დროს. ვინც სახელმწიფო სათათბიროს საშუალებით სცდილობს მომწიფებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი რეფორმები გაატაროს ცხოვრებაში, იმას გულში იმედი აქვს, ეს რეფორმები ზემოდან განახორციელოს. ამ გვარად, ლიბერალების ტაქტიკა იგულისხმებს რევოლიუციის მოხდენას ზემოდან და ამიტომ იგი მხოლოდ იმდენად უნდა იყოს შესაწყნარებელი, რამდენადაც შესაწყნარებელია იმედი ზემოდან რევოლიუციის მოხდენის შესახებ.

რევოლიუციის უმწვერვალესი და უმაღლესი მოთხოვნა პოლიტიკურის შინაარსისაა და შეეხება მმართველობის ფორმას, მაგრამ ვიდრე თვითმპყრობელ რუსეთის ცხოვრება ხალხს ამ მწვერვალზე აიყვანდა, იმან ათასი და ათი ათასი გაჭირვება გამოიარა, მრავალი ტანჯვა-ვაება გამოსცადა, დიდი უსამართლობა იგემა. ხალხის მრავალ კეცი გაჭირვება მთელი ცხოვრების მოუწყობლობის შედეგი იყო და არა მარტოოდენ უმაღლეს მმართველობის ორგანიზაციისა. აბსოლიუტიზმი მხოლოდ გვირგვინია საყოველთაო უკუღმართობისა და, თუ ხალხის მოძრაობის ლოზუნგად აბსოლიტიზმის უარყოფა შეიქნა, ეს სრულიად იმას არა ნიშნავს, რომ ეხლანდელ მოძრაობის ერთად ერთი მიზანი უმაღლეს მმართველობის რეორგანიზაცია იყოს,—პირიქით, ეს მოთხოვნა იგულისხმებს ხალხის შეურყეველს გადაწყვეტილებას, მოისპოს ყოველგვარი უკუღმართობა, შეიცვალოს მთელი წყობილება ცხოვრებისა.

სწორედ ესაა მიზეზი, რომ მიუხედავად მთავრობის და ლიბერალების განუზომელ მეცადინეობისა სახელმწიფო სათათბირო დღემდე ვერ შეიკრიბა, უკვე რამდენჯერმე არსებითად შეიცვალა თავისი იურიდიული და პოლიტიკური ბუნება, უბრალო სათათბირო კომისიის ნაცვლად ევროპიულ პარლამენტის მსგავსი სახე მიიღო, მაგრამ დღესაც მთავრობას იმედი არა აქვს, სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა აპრილისთვის მაინც მოახერხოს.

რეაქციის უკანასკნელი გამარჯვებისა და 11 დეკემბერის კანონით საარჩევნო უფლების გაფართოვების შემდეგ, რუსეთის საზოგადოებაში ხელახლა წამოჰყო თავი საკითხმა სათათბიროში მონაწილეობის შესახებ. ეხლა მთავრობას უფრო მეტი მომხრე ჰყავს, ვიდრე წინად, რადგან რეაქციამ თავის ფიზიკურ ძალით თავზარი დასცა რევოლიუციის წინანდელ ორ-აზროვან მომხრეებს, მაგრამ არსებითად რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა არ შეცვლილა და ამიტომ არც საფიქრებელია, რევოლიუციის აქტიურმა ელემენტმა, გლეხობამ და პროლეტარიატმა, თავისი ტაქტიკა შესცვალოს.

ეხლანდელმა რევოლიუციამ რუსეთის ცხოვრების ყველა სფერაში ღრმა და არსებითი ცვლილება უნდა შეიტანოს; პირველმა საკანონმდებლო დაწესებულებამ თავისი უმაღლესი სანქცია უნდა მისცეს რევოლიუციონურ ხალხისაგან ახლად შექმნილ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრების ფორმებს. აქედან ცხადია, რომ უმაღლეს წარმომადგენლობითს კრებას წინ უნდა უძღოდეს სრული თავისუფლება სიტყვისა და საზოგადოებრივ მოქმედებისა. უამისოდ ვერავითარი მთავრობა ვერაფერს გააწყობს და ყოველივე ცდა სამხედრო წესების დახმარებით სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ უნაყოფოდ დარჩება. რევოლიუცია რამდენისამე თავზე ხელაღებულ პროპაგანდისტისაგან გამოწვეული ამბავი არ არის და ამიტომ იმას ვერც რამდენიმე რეაქციონერი ჩააქრობს. რევოლიუცია შეიძლება მიყუჩდეს დროებით, ვიდრე რეაქციონერები სამხედრო ძალის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან, მაგრამ ხალხის გულში გაღვივებული მისწრაფება ძირეულ განახლებისადმი არ ჩაქრება და ამ ბოლო დროს ოდნავ გადასხვაფერებული სახელმწიფო სათათბირო, თუნდაც შეიკრიბოს იგი, რუსეთის რევოლიუციას ვერ გააჩუმებს. განმათავისუფლებელი მოძრაობა თავის გზით მიდის და ბიუროკრატიულ რეფორმატორობასთან მას არაფერი არა აქვს საერთო.

* * *

რევოლიუცია და ფინანსები

რუსეთის თანამედროვე თანამდებობის პირთ ამ ორიოდე თვის წინად გულს დააკლდათ, რომ ფუჭ სიტყვად ჩაიარა იმათ მამათ-მთავრის ტრეპოვის შესანიშნავმა ფრაზამ „პატრონებს ნუ დაზოგავთო". ეხლა თვითონ ახდენენ ასეთ ბრძანებებს „პატრონებს და ხიშტებს ნუ დაიშურებთო", და საქმითაც ასრულებენ. მათი ერთგულნი უწყალოდ ჰხვრეტენ ხალხს. არა ზოგავენ არა მარტო იმათ, ვისაც იარაღით ხელში ან ბრძოლის ველზე დაიჭერენ, ისეთებსაცკი, რომელნიც მშვიდობიან ბრძოლის გზას ადგანან და გაფიცვების მეტს არა იარაღს არა ხმარობენ. გაზეთები გადმოგვცემენ, რომ მოსკოვიდან ჯარი დაჰქოლია ლიანდაგს და წინდაწინვე შედგენილ სიით სასტიკად დაუსჯია სადგურების მოხელენი. ერთის სადგურის უფროსისთვის მხოლოდ უკითხავთ გვარი და სახელი და გაფიცვის მომხრე იყო თუ არა. მერე იქვე დაუხვრეტიათ. დიახაც, ადვილი საქმეა ხალხის ასე დასჯა. ტყვია და ხიშტი გულს ადვილად აპობს, მაგრამ ამ საქმის მომქმედნი რატომ არ ფიქრობენ, რომ ტყვიისა და ხიშტის გარდა არის კიდევ ისეთი რამ, რაც ტყვიასა და ხიშტზე უძლიერესია.

ეს არის საზოგადოების შეგნება, საზოგადოებრივი პირობები, რომელიც ყველგან დიდის სისწრაფით, მეტადრე რევოლიუციის დროს, და რომელსაც ვერავითარი ხიშტი ვერ ჩასტევს ძველ ფარგალში. რუსეთის რევოლიუციამ შეარყია მთელი ევროპა და ეხლა რამოდენადმე თავის მომხრედაც გაიხადა ევროპას საზოგადოების აზრი, რომელიც, სულიერი ძალის გარდა, დიდ მატერიალურ ძალას წარმოადგენს, მეტადრე რუსეთისათვის ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობაში. საქმე ის არის, რომ რევოლიუციის და მთავრობის ჯიუტობა, რომელიც რევოლიუციას უფრო და უფრო ამწვავებს, ჰყვლეფავს და ალატაკებს ხალხს, მიწასთან ასწორებს ვაჭრობა-მრეწველობას, აჩერებს საზოგადოებრივ ცხოვრებას. ყველა ამის შემდეგ ხალხს რომ უნდოდეს, კიდეც წინანდებურად გადასახადების გაღება, არა პირდაპირ გადასახადს მაინც ვერ გაიღებს. ეს გადასახადი საზოგადოებრივ ცხოვრების ზრდის დაგვარად იზრდება და ამ ბოლო დროს იგი რუსეთის ბიუჯეტის ძალიან დიდ ნაწილს შეადგენდა. ამიტომ ხაზინის შემოსავალი წელს, თქმა არ უნდა, ძლიერ შემცირდება. მეორეს მხრივ ხარჯი სახელმწიფოსი წინანდელზე დიდია, რადგან, როგორც თვით ფინანსთა მინისტრი ამბობს, იაპონიის ომის ხარჯიც წლევანდელ ხარჯთ აღრიცხვაში უნდა იქნეს შეტანილი. გარდა ამისა გაიზარდა ეგრედ წოდებული „საიდუმლო ფონდი", რომელიც ხმარდება პოლიციის გაძლიერებას და სხვა ამგვარ საქმეს, ე. ი. რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლას.

მომავალის წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვით ხაზინას 400 მილიონზე მეტი დეფიციტი მოელის. ეს სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვით. ნამდვილად კი დეფიციტი ყოველთვის მეტია ხოლმე. აი, ამიტომ სახელმწიფოს სესხი დასჭირდა და მთავრობამ მიმართა კიდეც თავის ძველ მოკავშირეს, საფრანგეთს, რომელსაც, გაზ. „ნარ. ხოზ."-ს სიტყვით, 800 მილიონ ფრანკსა სთხოვდა. მინისტრად ნამყოფ კოკოვცევს საფრანგეთში სესხზე უარი უთხრეს და ხელ-ცარიელი გამოისტუმრეს, რადგან არც საფრანგეთის კაპიტალისტები და არც სახელმწიფო არ ენდობა რუსეთის ეხლანდელ მთავრობას. პირდაპირ უთქვამთ კოკოვცევისთვის, განახორციელეთ თავისუფლებანი, რომელიც ხალხს დაჰპირდით და მაშინ სესხს არავინ დაგიჭერთო.

რაც შეეხება საფრანგეთის საზოგადოების რადიკალურ ნაწილს, იგი უფრო შორს წავიდა. ჟორესი, მაგალითად, თავის გაზეთში სწერს, რომ საფრანგეთი სესხს მხოლოდ რუსეთის ხალხს ანდობს და სიამოვნებითაც ანდობს, რუსეთის მთავრობას კი ვერ ენდობაო. აი რა ზომამდის დაეცა ნდობა ეხლანდელ მთავრობისადმი. ეტყობა, ვერც ვიტტეს ხრიკებმა გასჭრეს. საფრანგეთის ხალხი, დროებით მოუტყუებული იმისგან, ამას წინად ურჩევდა რუსეთის საზოგადოებას, გამოუცხადე ვიტტეს ნდობა და მხარი დაუჭირეო. ვიტტე მაშინ ერთადერთი კაცი ეგონათ, რომელსაც რუსეთის განახლება შეეძლო. მაგრამ ამ ბოლო დროს ყველას თვალები აეხილა და საფრანგეთმაც რუსეთის ხალხის მხარე დაიჭირა. ამას კარგად ჰგრძნობს მთავრობა და, თუმცა დურნოვო და კომპანია ძალიანაც არ დაგიდევენ საზოგადოების აზრს, არც შინაურისას და არც უცხოურისას, მაგრამ რას იზამენ, როდესაც ამ აზრს მატერიალური ძალაც აქვს. ფული ციდან არ ჩამოდის და საზოგადოების უნდობლობა კი ხაზინაში ოქროს ასუსტებს. მართალია, აქამდე ბევრი აზვიადებდა საქმეს და ამბობდა, რომ რუსეთი უკვე მივიდა გაკოტრების კარამდეო, მაგრამ ზემოდ აღნიშნული უტყუარი ფაქტები (თვით კოკოვცევს უთქვამს ეს ამბავი ერთ უცხოელ გაზეთის კორრესპონდენტისთვის) უცილობელი ნიშანია იმისა, რომ რუსეთის ხაზინის საქმე ცუდად არის.

მაშ რა გზა დარჩენია რუსეთის მთავრობას? ერთად-ერთი გზა ის არის, რომ შეჰკრიბოს ხალხის ნამდვილი წარმომადგენელნი და განახორციელოს დანაპირი თავისუფლებანი დროებითი კანონებით კი არა, სახელმწიფოს ძირითად კანონით, რომელიც თვით ხალხის წარმომადგენლებმა უნდა შეიმუშავონ. ეს ძირითადი კანონი უნდა სავალდებულო იყოს განურჩევლად ყველასათვის. აი მხოლოდ მაშინ დასთანხმდება ხალხი მოსთხოვოს საფრანგეთს სესხი, მხოლოდ მაშინ გასწორდება რუსეთის ფინანსების საქმე. რაც შეეხება ხალხს, იმასაც უნდა ახსოვდეს, რომ ყველაზე ძლიერი იარაღი იმის ხელში ეს არის. ამ იარაღს ყველგან ხალხისათვის დიდი სამსახური გაუწევია და რუსეთშიაც ასე იქნება. მთავრობა იძულებული იქნება დააკმაყოფილოს ხალხის სურვილი, თუ ხალხს ხელში ისეთი ძალა ექნება.

ტფილისიდან ხაშურამდე

ქართლიდან ტფილისში თავზარდამცემი ხმები მოვიდა. ჯერ კიდევ არ მოგვენელებინა ის საშინელი ამბები, რომელიც ამ ბოლო დროს ტფილისში მოხდა, რომ შავმა ყორანმა ხელ-ახლა დაგვჩხავლა. საითაც გაივლიდით, იმას გეკითხებოდნენ, რა იცით რა ხდება ქართლსა და დასავლეთ საქართველოშიო. „ტიფ. ლისტოკის" ოთხ იანვრის ნომერში ასეთი ამბავიც დაიბეჭდა: წიფასა და ვარვარინოს შუა, ტუნელთან გურულების შაიკას შეტაკება მოუვიდა ჯართან. ტყვიის მტყორცნელებით ასი „ბუნტოვშჩიკი" მოჰკლეს. სადგური გრაკალი გაძარცვეს. ქარელი სულ გადასწვეს, მიხაილოვო გაანადგურეს და სხვა. ამის გამო ჯარი გაიგზავნა, რომელიც გზა და გზა რევოლიუციონერებთან იბრძვის და ამ რიგად მიემართება იმერეთისკენაო". ხმა იყო აგრეთვე, ვითომც ხალხს გრაკალის ხიდი

ალევთქვენინოს, მცხეთისა და ავჭალის სადგურები დაენგრიოს და სხვა.

ამ ამბების შესამოწმებლად და სიმართლის გასაგებად, რედაქციის დავალებით, 6 იანვარს მატარებლით ხაშურისაკენ გავემართე. წასვლელი ბევრი იყო ხაშურისაკენ, მაგრამ მატარებელი სულ სამი-ოთხი ვაგონისაგან შესდგებოდა, ამიტომ ძლივს ვიშოვნეთ ადგილები. ბევრს მთელ გზაზე ამ სიცივეში ვაგონსა და ვაგონს შუა მოუხდა დგომა, მაგრამ ამას არ დაგიდევდნენ, ოღონდ რაიმენაირად წასულიყვნენ.

ასე 11 საათი იქნებოდა, როდესაც მატარებელი დაიძრა. რამდენადაც შესაძლებელი იყო, მატარებლიდან ვაკვირდებოდი გარეშემო ადგილებს, გზა და გზა სადგურებიდან მატარებელში ახლად შემოსულთ ვეცნობოდი, ვეკითხებოდი ყველაფერს. გავიარეთ ავჭალა, მცხეთა, ქსანკა, კასპი. მოჭორებული გამოდგა ის ამბავი, ვითომ რევოლიუციონერებს ტფილისიდან მცხეთამდე რკინის გზის ლიანდაგი აელოთ და ავჭალისა და მცხეთის სადგურები სულ გაენადგურებინოთ. რამდენიც მივდიოდით, ვრწმუნდებოდი, რომ რევოლიუციონერებს არავითარი ძალმომრეობა არ ეხმარათ. პირიქით, ლიანდაგზე, როგორც გავიგეთ, სოფლელებს გაფიცვის დროს შეიარაღებული დარაჯები გამოეყვანათ გზის დასაცველად, რომ ვინმე ხულიგანს არ გაეფუჭებინა და შემდეგ ხალხისათვის არ გადაებრალებინათ, რასაც, რა თქმა უნდა, არა სასურველი შედეგი მოჰყვებოდა. ავჭალაში გადმოგვცეს ყაზახთა შესახებ, ამბობენ, უდანაშაულო ხალხს სცემესო. პირველი სამხედრო მატარებელი ტფილისიდან საომარ დროის წესების გამოცხადების რამდენისამე დღის შემდეგ გასულა. მატარებელში ყოფილან რამდენიმე როტა სალდათებისა, ასი პლასტუნი და რკინის გზის ბატალიონის ჯარის კაცები. მატარებელი სიფრთხილით გასულა ტფილისიდან და შესდგომია გზის შემოწმებას და შეკეთებას იქ, სადაც გაფუჭებული იყო. ავჭალასა და მცხეთაში სადგურის მოხელე მოსამსახურეთათვის მოუცემიათ თავი. მცხეთაში სადგურის უფროსი ზასიპკინი დაუჭერიათ. კასპსა და ქსანკაშიაც დაუბარებიათ მოხელენი და ჩამოურთმევიათ ყველასთვის ხელ-წერილი მუშაობის განახლების შესახებ. ამ რიგად უვლია ამ სამხედრო მატარებელს. ტფილისში ჩამოსულა გრაკლის სადგურის უფროსი დოროშევი, რომელსაც უამბნია სამხედრო მთავრობისთვის, რომ სადგურს ხალხი დაეცა, განადგურებას მიპირებდნენ და გავიქეციო. სოფლელებმა გადმოგვცეს: როგორც გავიგეთ, დოროშევთან კარგს განწყობილებაში ვერა ყოფილა გზის რამდენიმე მუშა. 24 დეკემბერს, შეღამებისას, სადგურში მისულა რამდენიმე შეიარაღებული კაცი (ადვილად შესაძლებელია, ესენი ბოროტ-მოქმედნი იყვნენ და ძარცვა-გლეჯის განზრახვით მივიდნენ.) ამათ სადგურის ზედა სართულისათვის, სადაც უფროსი დოროშევი სცხოვრებდა, თოფები დაუშენიათ. შემდეგ შესულან სადგურში და იქაურობა მიულეწ-მოულეწიათ და, რაც მოუხელებიათ, წაუღიათ. 25 დეკემბერს დოროშევი თავის სახლობითა და მახლობლებით ტფილისში წამოსულა ქვეითად და ყოველივე ეს უცნობებია სადაც ჯერ არს. სადგურს ფანჯრები აქვს ჩამტვრეული; საკანცელარიო განყოფილებაში შკაფები ჩამტვრეულია და წიგნები მიყრილ-მოყრილი. გაფუჭებულია აგრეთვე სხვა ავეჯეულობაც, დამტვრეულია ზარა, საათი, სკამები. ათხრებული აღმოჩნდა სადგურის უფროსის სადგომიც, გრაკლის ხიდზე ლიანდაგის ორი რკინა აუღიათ და გადაუგდიათ. ამის შემდეგ გორიდან მოუყვანიათ სალდათების რაზმი და დაუყენებიათ როგორც სადგურის, ისე გრაკლის ხიდის სადარაჯოდ.

გრაკლის ერთმა მცხოვრებმა გადმოგვცა ყაზახების და სალდათების ჩასვლის ამბავი. სამხედრო მატარებელი გრაკლში შეღამებისას ჩასულა. მატარებელი ხიდის მოშორებით დამდგარა. გზისა და ხიდის დასათვალიერებლად ფარნებით ხელში წასულიან გზის მოხელენი ხელოსნებითურთ, თან გაუყოლებიათ ყაზახები. როცა მიმავალნი გორის პოლკის მოდარაჯე სალდათებს შეუმჩნევიათ, ჰგონებიათ ბოროტ-განმზრახველნი მოდიან ხიდის დასანგრევადაო და, ნიშნის მიუცემლად, უსროლიათ თოფები. ყაზახები შემდგარან, მერე სჩქაროდ მოუმართავთ თოფები და უსროლიათ. ყაზახებს დარაჯები რევოლიუციონერები ჰგონებიათ. კარგა ხანს სროლის შემდეგ მიმხვდარან, რაშიც ყოფილა საქმე, ნიშანი მიუციათ და სროლა შეუწყვეტიათ. ვერ გავიგეთ, ამ სროლის დროს დაშავდა ვინმე თუ არა. თოფის ხმაზე გრაკლის მცხოვრებნი გადმომდგარან და დაუწყიათ ყურება. ყაზახებს იმათ მხრისკენ აუტეხიათ სროლა. ხალხი წივილ-კივილით გაფანტულა. ტყვია სეტყვასავით მოდიოდაო, გადმომცა გრაკლელმა. სოფელს ღამე დიდ შიშში გაუტარებია. ჰგონებიათ, თავს დაგვეცემიანო. ყაზახებს ღამე სადგურში გაუთევიათ და დილით ადრე სოფლებში წასულან. წინ ყაზახებს ჯაშუშები მიუძღოდნენ თურმე. სამი კაცი უცვნიათ კიდეც. ერთი ნამამასახლისარი ყოფილა, ორიც აზნაური. პირველად ყაზახები გრაკალში კი არა, სოფელ ყარალაჯში მივიდნენ. იქ ასის თავის კონა მიხანაშვილის სახლს მისდგომიან. მიხანაშვილი შინ არ დაჰხვედრიათ. ყაზახებმა რამდენიმე კაცი დაიჭირეს და სცემეს. ეკითხებოდნენ სად არის კონა, გვითხარით, ვინ „ბუნტობს“ და ვინ სჩადის უწესოებასაო. ხალხი ამბობდა, არაფერი არ ვიცით, გრაკლის სადგური ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა აიკლესო. ცეცხლი წაუკიდეს კონა მიხანაშვილის სახლს. ცეცხლს ყველაფერი გაუნადგურებია. როგორც კონასა, ისე იმის ორ-სამ მეზობლის სახლები. ყაზახებს სოფლების ჩხრეკა დაუწყიათ. საშინელ სურათს წარმოადგენდა თურმე იმ დროს სოფელი. ისმოდა ერთი საშინელი წივილ-კივილი. გლეხები ამბობენ, ბევრი რამ წაგვართვეს და წაიღესო. დაიჭირეს კონა მიხანაშვილის ცოლი და გრაკალში წაიყვანეს. უბრძანებდნენ ეთქვა სად წავიდა იმისი ქმარი. ქალი მხოლოდ მეორე დღეს გაეშვათ.

ყარალაჯიდან ყაზახები სოფელ ხანდაკში გადასულან და იქაც იგივე ჩაუდენიათ. ეძებდნენ თურმე დამნაშავეთ. ბევრნი დაიჭირეს. როგორც გადმოგვცეს, ამ სოფელსაც დიდი ზარალი მოსვლია. მერე გაუჩხრეკიათ სოფელ დოესის მცხოვრებნი. სოფელ დოესში, სხვათა შორის, აკლებული აღმოჩნდა თავ. ნიკო ციციშვილის სახლი. ამ რიგად შემოუვლიათ სოფლები. დაუჯერებელი და თავზარ დამცემი ამბები გადმოგვცეს ამ სოფლების შესახებ. ამბობენ, გაუპატიურებული ქალებიც არიანო. ერთმა გლეხმა გადმოგვცა შემდეგი: როცა მეზობელ სოფლის აკლების ამბავი გავიგეთ, ჩვენ ყველანი ავიყარენით. თუ რამე ფასიანი გვქონდა, მიწაში ჩავფალით; ამ რიგად სახლები დავაცალიერეთ და სხვაგან გადავსახლდითო. გლეხმა მწუხარებით ამოიხვნეშა და თვალ-ცრემლიანმა სთქვა: ამ გვარს სიცოცხლეს ათას წილად სიკვდილი გვირჩევნიანო... გორამდე ყაზახებს კიდევ რამდენიმე სოფელი მოუვლიათ.

ჩავედით გორში. აქ სადგურზე მატარებელი კარგა ხანს იდგა. ამბის გაგება მინდოდა, მაგრამ ნაცნობი ვერავინა ვნახე. სადგურზე რამდენიმე გორელი იდგა და იმათ გამოვკითხე ყველაფერი. მითხრეს, გორის შესახებ დაბეჭდილი ამბები ტყუილია, მაგრამ ძარცვა-გლეჯა და ჩხრეკა ჩვენც არ გვაკლია. დაღამდება თუ არა, თავისუფლად ველარ გამოვდივართო.

ქარელის სადგურის გადაწვის შესახებ „ტფ. ლისტოკის“ ამბავი სიცრუვე გამოდგა. აქ სრული მშვიდობიანობაა. სადგურზე გაფიცვის ახსნისათანავე მუშაობა განახლებულა. ახლო-მახლო სოფლებშიაც მშვიდობიანობაა, მხოლოდ აქა-იქ ქურდობა გახშირებულა. ზოგი ბოროტ-მოქმედი სარგებლობს დროებით, ორგანიზაციის სახელით თავს ეცემა ხალხს და სძარცვავს. თავ. დავ. ციციშვილს წაღებიც კი გაჰხადეს თურმე ბოროტ-მოქმედებმა.

გომში გადმოგვცეს, რომ როდესაც პირველი სამხედრო მატარებელი ჩამოვიდა, გომის ახლო-მახლო სოფლების ჩხრეკასაც შეუდგნენო. გომში დაუჭერიათ გზის ოსტატის ჩიბატარევის შვილი. თავისებურად გაუჩხრეკიათ სადგურის მოვაჭრეები. დაზარალებულა ურუტაძე, როსტომოვი, გრიგოლ ლაცაბიძე, მიხა ქიტიაშვილი, ლევან გოლაშვილი. ზაქარია გასოშვილის სახლში ნახეს ორი თოფი. ამის გამო მთელი გომი გაუჩხრეკიათ. ყაზახები სოფ. ალამდე გაჰყოლიან ჩხრეკით. ხმა დადის, ბევრს წაართვეს ფულიო. გვითხრეს, რომ გომს ზევით ხაშურამდე ყველა სოფელი დაიარეს და გაჩხრიკესო.

31 დეკემბრამდე ამ რიგად გაუვლიათ ლიანდაგის გაყოლება სოფლები. დაწვრილებით ვერ გავიგეთ, სად რა უბედურება მოხდა, მხოლოდ რაც ჩვენი თვალით ვნახეთ, მაგალითად, ხაშურში, მართლა გულშემზარავია.

ხაშურში პირველი სამხედრო მატარებელი ჩასულა ახალწელიწად დღეს, დილის 8—9 საათზედ მწარე და შავბნელი ახალი წელიწადი გაუთენდათ ხაშურელებს. მატარებლით ჩავიდა ერთი როტა ჯარი მინგრელსკი პოლკისა და ერთი სოტნა პლასტუნებისა. ჯარს ხაშურში გაუძღვნენ სადგურის ჟანდარმები, რომელნიც აქამდე მიმალულნი იყვნენ. აი რა გადმოგვცეს სადგურის ზედამხედველებმა დემკამ, ჩიქოვანმა და სხვებმა: გათენდა თუ არა ახალი წელიწადი, სამხედრო მატარებელი ხაშურში შემოვიდა. ჩვენ ყველანი გამოველით და მატარებელს მივეგებენით, გაგვეხარდა კიდეც. ბევრმა სადგურს მოაშურა ტფილისის ამბების გასაგებად. არ ვიცოდით ჯერ, გაფიცვა ახსნილი იყო თუ არა. არც ის ვიცოდით, ჯარი რისთვის ჩამოვიდა. როგორც გადმოვიდნენ სადგურის ბაქანზე, მიჰყვეს ხელი ხალხის დაჭერას. პირველად დაიჭირეს და ძალზე სცემეს სადგურის უფროსის თანაშემწეს ხიჩინოვს. კასირი გიორგი ჩარხიშვილი საშინელის ღრიალით მოათრიეს სადგურზე და კონდახით თავიც გაუთხლიშეს. ამგვარისავე ცემა-ტყეპით მოათრიეს საკუჭნაოს გამგე თომაშვილი. მალე სადგურს ჯარი შემოარტყეს. ნაწილი ჯარისა და ყაზახებისა ჯგუფ ჯგუფად დაჰყვეს და ჟანდარმების წინამძღოლობით დაბაში გაჰგზავნეს რკინის გზის მოსამსახურეთა დასაჭერად. მოიყვანეს სადგურზე რატიანი, ალავერდოვი, ზაიცევი, კვალიაშვილები, დარასელია და სხვანი, ასე 20 კაცამდე. მერე წავიდნენ ობერ-კონდუქტორის ზაიცევის ცოლის შესაპყრობად. ყაზახებს გაუძღვა ჟანდარმი პეტრენკო და ქალი წივილ-კივილით მოიყვანეს. დაჭერილნი საპატიმრო ვაგონში ჩაამწყვდიეს. იჭერდნენ სხვებსაც. ზოგი სახლიდან გამოჰყავდათ, ზოგი დუქნიდან. ისეთი წივილ-კივილი იყო მთელს ხაშურში, რომ კაცს ჯოჯოხეთი ეგონებოდა. მოჰყავდათ დაჭერილები, უკან მოსდევდნენ ტირილით ცოლები და ბავშვები. ნაცემ და დასისხლიანებულ ხალხს ვაგონში ამწყვდევდნენ. გაჩხრეკის დროს დაუზარალებელი არ გადარჩა არც ერთი კაცი და არც ერთი სახლი.

ყველა ამის შემდეგ მოხელე-მოსამსახურეებს და სახელოსნოს მუშებს გამოუცხადეს, გსურთ თუ არა სამსახურიო. ნება დართეს შეკრებილიყვნენ და პასუხი მიეცათ. თუ უარს გამოაცხადებდნენ, 24 საათის განმავლობაში უნდა დაეცალათ სახელმწიფო სადგომები და სამუდამოდ გამოსთხოვებოდნენ სამსახურს. ნაშუადღევის 4 საათზე ადგილობრივ კლუბში შეიკრიბა 300 კაცამდე. კრება ვერავითარს გადაწყვეტილებას ვერ დაადგა. უკვე შეღამებული იყო. მთელს დაბაში ღამე ტანისამოსი არავის გაუხდია. ნაშუაღამევის 2 საათზე ცეცხლი მოედო ვანო ბერიას და დევდარიანის სახლებს. დაიწვა სულ ერთიანად სამანუფაქტურო მაღაზიები აკოფოვისა და ალბაშევისა. იქვე დაიწვა სასმელების სარდაფი ბეგალოვისა და გველესიანისა. ბეგალოვმა მითხრა: 7 კაცი იყო ჩვენს სარდაფში; როცა შუა ღამე კარგად გადავიდა, ბერიაის და დევდარიანის სახლებს ცეცხლი წაეკიდა. ჩვენი სარდაფი ამ სახლში იყო და შეგვეშინდა, შიგ არ გამომწვარიყავით, ამიტომ გავამტვრიეთ უკანა კარები და იმ ღამეს სხვას შევაფარეთ თავი. დევდარიანის სახლიდან ცეცხლი მსწრაფლ გადავიდა არუცოვის სახლზე. ამ სახლის დუქნის პატრონებმა ძლიერ იზარალეს. მაღლა სართულში სცხოვრობდა ჩიქოვანი, რომელმაც ვერაფრის გატანა ვერ მოასწრო. ცეცხლი გადავიდა აბაიძეების სახლზე. აქ დაიწვა 2 სამანუფაქტურო მაღაზია და ერთი მესაათისა. სახლიც სულ დაფერფლდა. ამავე ღამეს დაიწვა ტასია ბერიძეს სახლი, სადაც მოთავსებული იყო ღვინის სარდაფი და ქამოვის საკერავ მანქანის საწყობი. ცეცხლი გაუჩნდა აგრეთვე მიროტაძეების სახლს და ყოველივე დანაცრდა. ამ სახლის ზემო სართულში მოთავსებული იყო სასტუმრო „კავკაზი“, ხოლო ქვემოში—სახელოსნო და დუქან-მაღაზიები. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, რა წვალება და ტანჯვა უნდა გამოევლოთ.

ამავე ღამეს კიდევ უფრო თავ ზარ დამცემი ამბები მოხდა. საშინელ წივილ-კივილში ვინ რას გაარჩევდა. მხოლოდ მეორე დღეს გავიგეთ, როგორ გამოეთრიათ ერთის სომხის გასათხოვარი ქალი, ხოლო ქართველის ოჯახიდან—დედა და გასათხოვარი ქალი. ამ ქალებისთვის ნამუსი აეხადათ. ასე მოხდა ბევრგან სხვაგანაც.

მეორე დღეს, 2 იანვარს, ისევ დაიწყო რბევა, ძარცვა დაჩხრეკა. წინაღამის საშინელებით თავზარ დაცემულ ხალხში ხმა გავარდა, ამაღამაც ცეცხლს მიაუკიდებენო. ხალხმა აღარ იცოდა, სად წასულიყო. ბევრნი გადაესახლნენ იმათთან, ვინც სახელმწიფო სახლებში სცხოვრობდნენ. თვითოეულ ოჯახში 20—30 კაცმა შეაფარა თავი. ზოგი დაბიდან სოფლებისაკენ, ზოგიც სურამისაკენ გაიხიზნა. ამ დღეს, დილის 9 საათზე, შეიკრიბნენ გაფიცულნი და დაადგინეს, განაახლონ მუშაობა სადგურსა და სახელოსნოებში. მოხელეებს ხელი მოაწერინეს. შეპყრობილნი, რატიანისა გარდა, ყველანი გაანთავისუფლეს. ობერ-კონდუქტორი ზაიცევი ხელ მეორედ დააპატიმრეს. ჩხრეკამ გასტანა ღამის 11 საათამდე. მოქანცული ხალხი მილაგდა. ღამის თერთმეტ-ნახევარ საათზე მთელს დაბაში საშინელი ხმაურობა ასტყდა. მოისმა გუდოკის განგაში, ზარების რეკა და ორთქმავლების წივილი. წამოიშალა ხალხი. კიდევ ცეცხლი გაჩენილიყო. პირველად შურგაიას ხის დუქნებს მოსდებოდა, აქედან გადავიდა ბაჩაკოვის 2 სართულიან სახლზე. ხალხს ნება მიეცა ცეცხლის ქრობისა. დაიწვა ქართველ ებრაელების დუქნები ჯანაშვილებისა (10,000 მან. ზარალი), ალაჯანოვის ხორბლეულობის საწყობი (1,000 მან. ზარალი) და სხვა. ცეცხლის გაჩენის დროს შეიპყრეს ბოქაულები ვაშაძე, თავ. ციციშვილი და ორი საპოლიციო დარაჯი. ხალხს ენახა, რომ დარაჯებს ნავთი შეესხათ დუქნებისათვის და ცეცხლი მოეკიდებინათ. ვაშაძე გამოტეხილა, რომ ამას წინად ნაცემი დარაჯი, ტომით რუსი, დამუქრებოდა ხაშურს: როგორც კი შემთხვევა მომეცემა, ხაშურს გადავწვავო. ეს ვაჟბატონები გაანთავისუფლეს მაზრის უფროსის განკარგულებით, რადგან მათვე უთხოვნიათ საქმე სამართალში მიეცით და ჩვენ თავს გავიმართლებთო.

ამ ნაირად დაწიოკებულს ხალხს 3 იანვარს თავი შეუყრია. დიდ-ძალი ხალხი, ქალი, ბავშვი დიდი და პატარა, მისულა ჯარის უფროსთან და შეუჩივლია თავისი გაჭირვება. ხალხს უთქვამს: რად გვაგდებთ ასეთ ცეცხლში, რისთვის გვარბევთ; ასე ცხოვრება აღარ შეგვიძლიან, ბარემ უბრძანეთ, ყველას აქვე თავები დაგვაყრევინონო. ჯარის უფროს უთქვამს, დაწყნარდით, აწი აღარაფერი იქნება; ყაზახებს ისევ ტფილისში დავაბრუნებო. ქართლის გენერალ-გუბერნატორის ბაუერის განკარგულებით, გუბერნატორის უფლებით ხაშურში დაინიშნა პოლკოვნიკი ნაცვლიშვილი. ეს უკანასკნელი ჩასულა 4 იანვარს ხაშურში.

ეხლა მშვიდობიანობაა, მაგრამ ცალიერ დაბაში სხვა რა იქნება. ყველაფერი ჩემის თვალით ვნახე, დავიარე ნახევარი დაბა და ვერსად ადამიანს ვერ შევხვდი. მხოლოდ შემდეგ გავიგე, რომ რაც მცხოვრებთ გაუგიათ ტუნელთან მომხდარი შეტაკების ამბავი ყაზახებსა და მილიციონერებს შორის, ძალზე დაშფრთხალან და გახიზნულან. გაზ. „ტფ. ლისტოკში“ 4 იანვარს ცრუ ამბავია მოქცეული, ვითომ „ბუნტოვშჩიკები“ თავს დასცემოდნენ რუს მუშებს. ასეთ პროვოკატორულ ამბებს ჰბეჭდავს გაზეთი და სცდილობს მტრობის ჩამოგდებას რუსს და ქართველ მუშებს შორის.

2 იანვარს უმეტესი ნაწილი ჯარისა და ყაზახებისა ვარვარინოს სადგურისაკენ წავიდა. იქ მთებში მილიციონერები ყოფილან

ფელეტონი

9 იანვარი 1905 წ.

სალამი თქვენს სულს, თქვენს წმინდა აჩრდილს,
სისხლ-დანთხეულნო თვით ბრძოლის ველზე
და ზვარაკ-მსხვერპლად შეწირულნო
თავისუფლების საკურთხეველზე!..
ძველსა, მომავალს, და ახალს შუა
თქვენ შეურყევლად დასდეთ საზღვარი
და საანდერძოდ, საშვილიშვილოდ
მით აღბეჭდეთ ცხრა იანვარი!..
ცხრა იანვარი, როს გაწყდა ჯაჭვი,
იშვა ახალი, მოკვდა რა ძველი
და ნიადაგი ახალ ცხოვრების
მტკიცე სავანე და საფუძველი!..
გაღვივდა აზრი, გამოშუქდა,
ვით ცხრა-თვალა მზე, ქვეყნის მაშვენი,
და თუმც კვლავინდებრ მსხვერპლი-მსხვერპლს მისდევს,
მაგრამ მტკიცდება მით ზედ-ნაშენი!..
სალამი თქვენს სულს, თქვენს წმინდა აჩრდილს, —
ძალს ძალა შობს და გმირსა გმირი, —
ეს კანონია,—და, ჰა, სრულდება
თქვენი ანდერძი და დანაპირი!..
ახლოა ის დრო, როს თქვენს საფლავზე
ხმა სანეტარო გაისმის შვებით
და დაწყებული თქვენ მიერ საქმე
დაგვირგვინდება სრულ გამარჯვებით!..

დ. თომაშვილი.

პატარა ამბების მაგიერი

მკითხველო, დღეს სიტყვას „პატარა ამბებს“ ელოდი. მაგრამ .. სიტყვა და მასთან ერთად სხვანი მრავალნი კეთილ მთავრობის განკარგულებით სხედან, უკაცრავად შენთან, მკითხველო, ვრიის აბანოში. რათა? რისთვის? იკითხავ. მაგისი ნამდვილი პასუხი არც მე ვიცი, არც თვითონ დაპატიმრებულებმა. მგონია კი, რომ მთავრობას აზრადა აქვს მომავალ ისტორიკოსს თავსამტვრევი გამოცანა მისცეს, ისეთი, რომ ვერც თავი გაუგოს, ვერც ბოლო.

ასე თუ ისე, მე მხვდა წილად მორიგ საკვირაო ფელეტონის გამოცხობა. წინდაწინვე ბოდიშს ვიხდი, მკითხველო, შენს წინაშე: ვაი თუ ვერ გასიამოვნო. ჩვიდმეტ ოქტომბრის თავისუფლებას ვფიცავ, რომ მე დამნაშავე არა ვარ: ჩემდა უნებურად ვხდები მეფელეტონედ. დამნაშავე ხომ იცი, ვინც არის. არ დავასახელებ, ისე მიხვდი, თორემ იქნება მეც ხიფათში გავება და თავი ამოვყო იქ, სადაც დღეს მრავალნი განისვენებენ. მკითხველო, შენც გირჩევ, კარები ჩაკეტო, ფანჯრები დახურო და ისე ამოიყარო ჯავრი დამნაშავეზე, თორემ... თუ გაიგონა დამნაშავემ შენი ბრაზმორეული შეკურთხება, კარგს არ დაგაყრის. უფრო კი გირჩევ გაჯავრების მაგივრად მადლობა გადაუხადო მთავრობას. კი არ გეხუმრები. მადლობა, გულითადი მადლობა. ვერ გაგიგია, რატომ? აი დამიგდე ყური.

რა არის მთავრობა? მთავრობა არის ძალა (იგულისხმე: ძალმომრეობა). სად არის საზღვარი ამა ძალისა? ძალასა მისსა საზღვარი არ აქვს. რითი იცნობის ძალა მთავრობისა? იცნობის ერთის სიტყვით: „შეგჭამ“. თუ გიმნაზიაში ყოფილხარ და სილლოგიზმები გაგიკვლავს, ადვილად გამოიყვან დასკვნას ზემოთ მოყვანილ კითხვა-პასუხებიდან: მთავრობას შეუძლიან სიტყვას ფელეტონი კი არა, შავი ასოც-კი არ დაგანახოს თვალით. ერთ მშვენიერ დღეს შეუძლიან გამოსცეს ბრძანება: „გადასახლდით მბლაჯნელებო სიტყვასთანო“. ჩვენც ავიბარგებით და გადავსახლდებით. ალბად, ახალი ბინა უკეთესია ჩვენ საკუთარ ბინაზედ, თუ გვასახლებენ. დალოცვილმა მთავრობამ ყველაფერი ჩვენზე უკეთ იცის. აბა მითხარი, რას წაიკითხავდი მაშინ? შავ-ქვასა და ნაცარცხელსა, ან ენა „წყლიან“ „კავკაზსა“. მაშ ნუ გაჯავრდები, რომ მე ვწერ ფელეტონს და არა სიტყვა; მუხლი მოიდრიკე და მთავრობას ფეხებზედ ემთხვიე, რომ საშუალებას გაძლევს ჩემი ლაყბობა მაინც წაიკითხო.

მეც მსურს, მკითხველო, მთავრობას მადლობა შევწირო, რომ ჯერ ენა არ ამოუგლეჯია ჩემთვის, და ვსთხოვო ნება მომცეს დღის ვარამზედ ვილაყბო.

**

შენი არ ვიცი, საყვარელო მკითხველო, და მე-კი დიდ საგონებელში ჩავვარდი. მინდა გავიგო და ვერ გამიგია, რა პოლიტიკურ რწმენის კაცია გრაფი ვიტტე. ეს უცნაური ადამიანი ყოველ დღე ფიცულობს ხატსა და ჯვარს, რომ იგი გულმხურვალე მომხრეა წარმომადგენლობით წესწყობილებისა. ამ ორიოდე დღის წინადაც წაიკითხავდი დეპეშებში ოფიციალურ განმარტებას, რომელიც გადაჭრით აცხადებს: „გრაფი ვიტტე ერთგული ქვეშევრდომია მეფისა და თავის თავს ნებას არ მისცემს ორპირობა გამოიჩინოს. 17 ოქტომბერს მეფემ ბრძანა; „იყოს წარმომადგენლობითი წესწყობილება“, და მისი ერთგული ქვეშევრდომიც გულწრფელად ემხრობა ტახტის სიმაღლიდან გამოცემულს ბრძანებასაო“. ყველა ეს მჯერა, მაგრამ, ქართული ანდაზისა არ იყვეს: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. საკვირველების ამღძვრელი ბოლო-კი გუშინ შევამჩნიე გაზეთ „ნაროდნაია სვაბოდა“-ში დაბეჭდილ წერილში. გაზეთი იუწყება, რომ უმაღლეს მთავრობას სურს შეაერთოს 6 აგვისტოს დებულება სახელმწიფო საბჭოს შესახებ და 17 ოქტომბრის მანიფესტი ერთ კონსტიტუციონურ აქტად. ამის მედგარი წინააღმდეგია გრაფი ვიტტე და ამტკიცებს, რომ თვითმპყრობელობა წესწყობილების საუკეთესო ფორმა არისო“. ამისთანა ცილსა სწამებს კონსტიტუციონურ კაბინეტის მინისტრ-პრეზიდენტს გაზეთი, რომელიც გამოდის (შევცდი: აღარ გამოდის) ბ-ნ მილიუკოვის რედაქტორობით; ბ-ნი მილიუკოვი-კი, მგონი, არა შორიდან იცნობს გრაფ ვიტტეს.

მომინდვია შენთვის, მკითხველო, სანამ ყაზახებს ხიშტზედ არ აუგიხარ, გამოიცნო ძნელად გამოსაცნობი გამოცანა: რა პოლიტიკური რწმენის კაცია გრაფი ვიტტე?.

**

იქნება, მკითხველო, შენ ჩემზედ გამჭრიახი გონება გაქვს და მალე გამოიცნო ეს გამოცანა. ამიტომ მსურს მეორე გამოცანაც გიძღვნა.

„კიევსკიე ოტკლიკ“-ში ხუთშაბათს, 22 დეკემბერს, დაბეჭდილია დეპეშა საკუთარის კორრესპონდენტისა: „მინისტრებმა მხოლოდ „პრავიტ. ვესტნიკი“-დან გაიგეს აკიმოვის მინისტრად დანიშვნის ამბავი“.

გამოცანა მილიონად ღირს. შენ კი არა, მკითხველო, თვით მეფე ედიპიც რომ ადგეს, ისიც კი ვერ გამოიცნობს. ცოტას დაგცდი... გამოიცან?—არა. განა არ ვიცოდი. მოვისხამ შენ მადლს და მოგეშველები. ხომ კარგად მოგეხსენებათ რომ სანამ რუსეთში თვითპყრობელობა იყო, ყოველი მინისტრი მეფე იყო თავის სამბრძანებლოში და ხშირად სხვისისაშიც, უმეტესად შინაგან საქმეთა მინისტრი (მოიგონე ნეტარ ხსენებული, აწ განსვენებული ვიაჩესლავ ივანეს ძე ფონ-პლევე). მას შემდეგ, რაც რუსეთში თვითმპყრობელობის ნანგრევებზედ აშენდა მშვენიერი შენობა წარმომადგენლობით წესწყობილობისა, საჭიროებამ მოითხოვა მინისტრთა მოქმედებათა შეთანხმება. ამ დიდმნიშვნელოვან ცვლილების განსახორციელებლად მოწვეულ იქმნა უმაღლეს ბრძანებით გრაფი ვიტტე, რომელსაც დაევალა მინისტრთა კაბინეტის შედგენა. თუმცა ყოველი პატიოსანი საზოგადო მოღვაწე გრაფ ვიტტეს მოწვევას ისე გაურბოდა, როგორც ეშმაკი ჯვარს, მაგრამ ნიჭიერმა პრემიერმა მაინც შეადგინა კაბინეტი, რომელმაც მიიღო სახელწოდება „საქმიანისა“, არა იმიტომ, რომ საქმე გააკეთა, არამედ იმიტომ, რომ საქმე **ბევრი** ჰქონდა გასაკეთებელი. ერთი წევრი ამ კაბინეტისა გახლავთ ბ-ნი დურნოვო, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კეთილმყოფელი მამა. ეს მინისტრი საქმეს აკეთებს, მაგრამ სარჩულსაც უდებს. სარჩული ნაყიდი აქვს თვითმპყრობელობის მაღაზიაში, რომელიც, თუმცა რუსეთში კონსტიტუცია არსებობს, ჯერ კიდევ მშვენივრად ვაჭრობს. ამ მინისტრს არ ეპაშნიკება „რადიკალური“ აზრები და საქმენი ვიტტესანი და რჩეულობს იხელმძღვანელოს ქართულ ანდაზის თქმულებით: „ნუ დაჰკარგავ ძველს გზასა, ნუცა

გამაგრებული და ჯერაც არ იციან, რომ გაფიცვა მთელს რუსეთში მოიხსნა. ყაზახების მხრით მოუკლავთ 3 კაცი და ერთიც დაუჭრიათ. ჯარს ტუნელისთვის თავი მიუნებებია და დაბრუნებულა ხაშურში. საღამოს 4 საათზედ ვარვარინოს სადგურიდან საშინელი სროლის ხმა შემოესმიათ ხაშურში. სოფელ ბელლეთში და სხვაგან ცეცხლი წაუკიდებიათ სახლებისთვის. ვერ გავიგეთ, რამდენი და ან ვინ არიან მოკლული. ტფილისიდან ახალი ჯარი მოუთხოვნიათ. 5—6 იანვარს უკვე გაიგზავნა 2000 კაცამდე, ყაზახი და ჯარი 4 ზარბაზნით, ტყვიის მტყორცნელებით და საომარ მასალით. ხაშურიდან ეს ჯარი ნათლიღების დღეს, შუადღის 12 საათზედ, მატარებლით დაძრულა ვარვარინოსა და შემდეგ წიფისაკენ. როგორც ეტყობა, აზრადა აქვთ გადალახონ ლიხის მთა და გადავიდნენ იმერეთში. დასავლეთ საქართველოში გაფიცვის ახსნის შესახებ არა იციან რა.

ქაქუჩელა.

საარჩევნო წესი კავკასიისათვის.

რუსეთის „დეპეშათა სააგენტო“ პეტერბურგიდან გვაუწყებს, ხუთ იანვარს გრაფ სოლსკის კომისიამ საბოლოოდ გამოსთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს არჩევნები სახელმწიფო სათათბიროს წევრებისა კავკასიაში. აი ეს აზრი:

„ადგილობრივ პირობების გამო ყოვლად შეუძლებელია, დაწესებულ იქმნას განსაზღვრული მიწის მფლობელობითი ცენზი, რომელიც მიღებულია რუსეთის შიდა გუბერნიებისათვის. მომეტებულ ნაწილ გუბერნიებისა და ოლქებისათვის მიღებული იქმნა გადასახადების ცენზი. არჩევნების უფლება მიეცემა იმას, ვინც განსაზღვრულ საერობო გადასახადს იხდის. რაოდენობა ამ გადასახადისა განზრახული იყო დაეწესებინათ 30 მან., მაგრამ, თანახმად კავკასიის გაგზავნილ პირთა სურვილისა, დაწესებულ იქმნა 15 მანეთი. მაზრები შეადგენენ პირვანდელ საარჩევნო ოლქს; გუბერნიები და ოლქები კავკასიისა იქმნებიან ცალკე ოლქებად. სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ასარჩევად კერძო მიწათმფლობელთა ყრილობები მოეწყობა ყველა მაზრებსა და ოლქებში გარდა იმ ადგილებისა, სადაც მიწის კერძო მესაკუთრეები არ არიან, როგორც, მაგალითად, ყარსის ოლქსა და დაღესტანის ზოგ ნაწილებში“.

როგორც მკითხველი ხედავს, არჩევნების წესი დეპეშას გარკვევით და ნათლად არა აქვს გადმოცემული. ცხადია მხოლოდ, რომ არჩევნების სისტემას რამდენიმე სხვა და სხვა გვარი საფუძველი ექნება; ერთი უმთავრესი საფუძველი იქნება საერობო გადასახადი, რომელსაც კავკასიის მცხოვრებთ გადასახადთა ინსპექტორები აწერდნენ ისე, რომ მომეტებულ ნაწილად ვისაც მეტი მამული ჰქონდა, ის ნაკლებს იხდიდა, ვისაც ნაკლები—ის მეტს, ზოგჯერ კი ისეთს მამულებზე იყო შეწერილი ხარჯი, რომელიც სულ არ არსებობდა. გრაფ სოლსკის კომისიას იმაზე უკეთესი სახსარი ვერ აღმოუჩენია კავკასიის მცხოვრებთა ქონების გამოსაანგარიშებლად, რომ წვრილ მოხელეების ანაბარად მიგდებულ გადასახადების წესზე დამყაროს. ცხადია, ეს ვითომდა სისტემა ნამდვილად უსისტემობის გაპრინციპებაა.

რედ ზედ გამოჭრილია „ნოვ. ობოზრ.“-ს პუბლიცისტების მოქმედებაზე. მკითხველებს ახსოვთ, როგორ იქცეოდა ეს გაზეთი შარშან სომეხ-თათართა შეტაკების დროს, როგორ ამაღელვებელ ამბებს ჰბეჭდავდა, როგორ ტენდენციურად სთხზავდა ჭორებს და სხვა; ახსოვთ, აგრეთ, რომ ჩვენმა გაზეთმა აღნიშნა მაშინ ასეთი შეუფერებელი ხასიათი „ნოვ. ობოზრ.“-ს საქციელისა, რაც გაზეთმა ძალიან იწყინა და გამოგვეკამათა კიდეც. მაშინ ეს კამათი „ნოვ. ობოზრ.“-ს გამარჯვებით არ გათავებულა, მაგრამ გაზეთს გულში ჩარჩენია ჩვენი მაშინდელი საყვედური და აი დღეს გადაგვიხადა.

გადაგვიხადა უცნაურად, დაუჯერებლად. გაზეთმა, რომელსაც თამამად შევეძლიან ნაციონალურ შოვინიზმის პატენტი ვუბოძოთ, ჩვენ ჩაგვრიცხა შოვინისტთა სიაში. ამისთვის ასეთს ოინს მიჰმართა: ერთ თავის თანამშრომელს, რომელიც დროგამოშვებით ნაირ-ნაირ ქურქში ეხვევა, ახლა სოციალ-დემოკრატის ტოგა წამოასხა და ინტერნაციონალურს პიედესტალზე აიყვანა. ასეთ მომარჯვებულ პოზიციიდან ეს თანამშრომელი თამამად ჰგმობს ნაციონალიზმს, „მამაცურად“ ებრძვის „პატრიოტებს“. ამას სჩადის ბ-ნ ქალანთაროვის გაზეთი „ნოვ. ობოზრ.“ ჩვენს მკითხველებს გაეცინებათ, როცა გაიგებენ, რომ „ნოვ. ობოზრ.“-ე „მშაკ“-სა და „არშალუის“-ს უკიჟინებს ვიწრო სომხურ ნაციონალისტობას.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ: ჩვენთვის ახლა საინტერესო არაა „ნოვ. ობ.“-ს ახალ ქურქის გასინჯვა. ჩვენ დღეს გვინდა მხოლოდ პასუხი მოვთხოვოთ ამ გაზეთს. ბ-ნ ბარსევის პირით გაზეთი ბრალსა გვდებს, ვითომ ჩვენ, შარშან, გატაცებულთ ვიწრო პატრიოტულის შოვინიზმით, სომხის ერის წინააღმდეგ გავილაშქრეთ, მთელ სომხობას ვგმობდით და სხვა და სხვა. ასეთ ხულიგანობას გვწამებს გაზეთი. არ იკითხავთ, რა საბუთით? ბ-ნს ბარსევს თავი არ შეუწუხებია საბუთების მოყვანით, ის პირდაპირ, ლითონის სიტყვებით, გვდებს მძიმე ბრალს.

მაგრამ ჩვენ არავის ნებას არ მივცემთ ტყუილ უბრალოდ ცილისწამებისას და ამიტომ წინადადებას ვაძლევთ ბ-ნ ბარსევს შესაფერისის ციტატებით დაამტკიცოს თავისი ბრალდება „ცნ. ფურც.“-ს შესახებ,—დაამტკიცოს, რომ ჩვენ სომხის ხალხის წინააღმდეგ გავილაშქრეთ, სომხის ერს „ელვა-ქუხილით“ დავეცით თავს. ზოგადის ფრაზებითა და ბრტყელ-ბრტყელის სიტყვებით ჩვენ არ დავკმაყოფილდებით. ჩვენ გვინდა საბუთი და თუ ბ-ნ ბარსევმა საბუთები არ წარმოგვიდგინა ან თავისი სიტყვები უკან არ წაიღო, ჩვენ იძულებული ვიქნებით სამარცხვინო ბოძზე მივაკრათ საზიზღარ ცილის-მწამებელნი.

ახალი ამბავი

◆ **მოსამსახურეთა დათხოვნა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამხედრო უფროსმა პოლკოვნიკმა ნეიგებაუერმა 2 იანვარს ბრძანება გასცა. ამ ბრძანებით დათხოვნილ იქმნა რკინის გზის 214 მოხელე-მოსამსახურე და მუშა.

◆ **ყაზახთა მიშველება.** დუშეთის მაზრაში თიანეთიდან მაშველად გაიგზავნა ერთი სოტნა ყაზახებისა.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაჭირვება.** როგორც ვიცით, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს გაფიცვის დროს ჯამაგირი არ მისცეს. ამის გამო მოხელენი დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ. ზოგმა მოხელემ ის ფულიც დაჰკარგა, რომელსაც ხუთ-ხუთი წლის ნამსახურობისათვის იღებდა, და ბინის ქირაც დაუკლეს.

◆ **ბრძანება სინოდისა.** ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ მიიღო უკაზი, რომელშიაც მოხსენებულია შემდეგი: იმერეთის ეპარქიის მმართველის ეპისკოპოს ლეონიდის ნაცვლად, რომელიც ეპარქიაში არ იმყოფება, დროებით ინიშნება ალავერდის ეპისკოპოსი პეტრე, ხოლო ურჩს კი უნდა მოექცეთ კანონის მიხედვითაო. ამ გაუგებარ უკაზის გამო გუშინ, 7 იანვარს, ეპისკოპოზი ლეონიდი კავკასიის ნამესტნიკთან იყო. ეპისკოპოზმა ლეონიდმა აუხსნა, რომ მას არავითარი შეძლება არა ჰქონდა უგზოობის გამო წასულიყო თავის სამწყსოში.

◆ **თავდასხმა.** როგორც გორიდან გვატყობინებენ, 25 დეკემბერს, 20 შეიარაღებული კაცი თავს დაეცა გორის მომრიგებელ მოსამართლეს და გამომძიებლის კამერას. წაიღეს, რაც რამ დამამტკიცებელი საბუთები და იარაღი იყო.

◆ **მამულის გამოსყიდვა.** როგორც გავიგეთ, ტფილისის გუბერნიის მემამულეს თავად ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანსკის შუამდგომლობა აღუძრავს, რომ იმისი მამულები, რომელიც ბორჩალოს, გორის და დუშეთის მაზრებში მდებარეობს, მთავრობამ შეღავათიანის პირობებით გამოისყიდოს გლეხთათვის დასარიგებლად.

◆ **რკინის გზის უფროსი.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსად დაინიშნა მოსკოვ-კურსკის რკინის გზის უფროსის თანაშემწე ინჟ. შაიკევიჩი.

◆ **გუბერნატორის მიწერილობა.** ტფილისის გუბერნატორმა მაზრის უფროსებს მიწერილობა დაუგზავნა. გუბერნატორი სწერს: რადგან უკანასკნელ არეულობის გამო დიდძალი მიწა დარჩა დაუმუშავებელი, თხოვთ წარმოგვიდგინოთ თქვენი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უზრუნველყოფილ იქმნას ხალხი ამ ახალ წელს. მოგვაწოდეთ აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი დესეტინა მიწა დარჩა დაუმუშავებელიო.

◆ **დეპუტატები გენერალ-გუბერნატორთან.** ამ დღეებში სხვა და სხვა დროს ყარაიაზის სომხების და თათრების დეპუტატები იყვნენ ტფ. გენერალ-გუბერნატორთან. სომხებმა სთხოვეს, თათრებმა დაუბრუნონ გატაცებული ქონება. ალიხანოვმა დახმარება აღუთქვა. თათრების დეპუტატებს გენერალმა უთხრა, თუ ხუთის დღის განმავლობაში არ დაუბრუნებთ გატაცებულ ქონებას, სასტიკ ღონისძიებას მივმართავო.

◆ **დაპატიმრება.** როგორც „სხივი“ გადმოგვცემს, ამ ორიოდე დღის წინად დაუპატიმრებიათ ამ გაზეთის თანამშრომელი ფილ. მახარაძე.

◆ **განთავისუფლება.** გუშინ-წინ გაანთავისუფლეს ამ დღეებში დაჭერილი „ივერიის“ რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.

◆ **გაძარცვა.** ჩვენს რედაქციაში შემოვიდნენ ტფილისის მცხოვრებნი ალექსანდრე გოდერძიშვილი, მიხა კანდელაკი, სანდრო ძაბულაშვილი და შემოგვჩივლეს შემდეგი: ჩვენ და ვასო ჟღენტი 31 დეკემბერს მივდიოდით სტროლკოვის ქუჩაზედ, პოლიციის მე-9 ნაწილში. როცა ლიანდაგზე გადმოსასვლელ ხიდს ჩამოვშორდით, ავჭალის ქუჩის მახლობლად, ზევიდან წამოგვეწია მსროლელთა ბატალიონის ოთხი სალდათი და თოფები დაგვიმიზნა. დაგვიძახეს: ფული მოგვეცით, თორემ ეხლავე გაგათავებთო. გოდერძიშვილისათვის წაურთმევიათ 25 მან. 35 კაპ., კანდელაკისათვის 7 მან. 15 კაპ., ჟღენტისათვის 3 მან. 40 კაპ. ხოლო სანდრო ძაბულაშვილისათვის 9 მან. 25 კაპ.

◆ **დანიშვნა.** როგორც გავიგეთ, საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოს მდივანი მისენკო ინიშნება საგუბერნიო გამგეობის წევრად, ყიფშიძის ნაცვლად, რომელიც ამ ექვსის თვით წინად ქუთაისის ვიცეგუბერნატორად დაინიშნა.

◆ **გიმნაზიის ზარალი.** ვაჟთა პირველ გიმნაზიის დირექტორმა გამყრელიძემ სთხოვა ნამესტნიკს, რომ აენაზღაურა ის ზარალი, რომელიც 22 ოქტომბრის აწიოკების დროს მოუვიდა გიმნაზიას. ზარალი დირექტორის ანგარიშით 16 ათას მანეთამდეა. ნამესტნიკმა ჯერ-ჯერობით 5 ათასი მანეთი მისცა დირექტორს.

◆ **უწყლობა.** გუშინ, 7 იანვარს, მთელს ქალაქში ნაკლებობა იყო წყლისა. ქალაქის გამგეობამ ინჟინერი გაგზავნა ავჭალაში მიზეზის გამოსარკვევად.

◆ **თხოვნა.** თიანეთის სოფლის საზოგადოებამ სთხოვა მაზრის უფროსს, გვიშუამდგომლეთ ყაზახები გაყვანილ იქმნან ჩვენის საზოგადოებიდანაო.

◆ **არდაზიანი.** ეს ცნობილი ხაზინადარი ციხიდან გამოუშვეს თავდებობით. როგორც ხმა დადის, ახლა არდაზიანი სადღაც მიმალულა.

◆ როგორც ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, სიღნაღის მაზრის ვეღისციხის, ახაშენის, ჩუმლაყის, გურჯაანის, ვეჯინის, კოლაგის, ბაკურციხის, კარდანახის და ლაგოდეხის სოფლის საზოგადოებებს ჰქონიათ ხაზინაში სასოფლო სამეურნეო თანხებისა ნაღდ ფულად 9212 მანეთი და სარგებლიანის ქაღალდებით 40,800 მანეთი.

◆ ზოგიერთი პოლიციელები ძალიან თავხედად ხმარობენ წესიერების დასაცველად დარიგებულ თოფებს. 6 იანვარს საღამოს 8 საათზედ რიყის ქუჩაზედ ჟოლტოვის ტრაქტირში ჩაისა სვამდნენ, სხვათა შორის, მელქისედეკ ხუნდაძე თავის ძმით, სავადოვი, სტეფან შაფრანოვი, ლეზინა, ბაქტიეროვი, ტომილინი და სხვანი. ამ დროს შესულა შეზარხოშებული თოფიანი პოლიციელი და დაუწყია იქვე მდგომ რუსისთვის ხუმრობა. მას უთქვამს, ნუ მეხუმრები, თოფი არ გაგივარდესო. პოლიციელს გული მოსვლია, რამდენჯერმე თოფის ტუჩი იმის ცხვირთან მიუტანია და უთქვამს, აბა უსუნე რა კარგი სუნი უდისო. პოლიციელს მერე ბუფეტისათვის დაუწყია მიზნება თოფისა. უეცრად თოფი გავარდნილა და ბუფეტის შკაფი ერთიან ჩაულეწია. ხალხი, შეშინებული გარედ გავარდნილა. პოლიციელს უთქვამს, მაპატიეთ და არ გამამხილოთო. თოფის ხმას მთელი უბანი დაუფრთხია.

◆ სახელმწიფო საადგილმამულო ბანკის ტფ. განყოფილების მსესხებლებმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ ვაჭრობა მამულების გასასყიდად გადაიდოს. ვაჭრობა გადაიდება იმ დრომდე, სანამ მემამულეთა შუამდგომლობაზე პასუხი მოვა.

◆ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ ინსპექტორ—მასწავლებლად ოზურგეთის მაზრაში დანიშნა მელქისედეკ გიორგის ძე ნაკაშიძე 800 მანეთის წლიურ ჯამაგირით.

◆ ქველმოქმედთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ დიდ გაჭირვებაშია ქვრივი ელისაბედ გარსევანიშვილისა, რომელსაც ორი მცირე წლოვანი შვილი ჰყავს და ცხოვრების სახსარი კი არა გააჩნია-რა. გარსევანიშვილისას შეუძლიან საკერავი აიღოს ან სხვა საქმე გააკეთოს. სცხოვრობს ვენზენსკის ქუჩაზე, № 9 (მთაწმინდა).

◆ თიანეთის საფოსტო გზის სადგურ საყარაულოში ამ სადგურის მწერალს თ. ბუჩუკურს მოუკლავს შიგ სადგურში სოფ. საყარაულოს მცხოვრები ოქრო მიდელაური, რადგანაც ეს უკანასკნელი ფულსა სთხოვდა თურმე ბუჩუკურს.

◆ ქ. სიღნაღში ადგილობრივ მცხოვრებს ა. ანზოროვს ბერდანის თოფით მოუკლავს მოქალაქე ლიმინა მაილოვი.

დღევანდელ №-თან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ სურათებიანი დამატება.

უსაჭიროესი შუამდგომლობა

(წერილი რედაქციის მიმართ)

მთელს საქართველოს კარს მისდგომია ისეთივე განსაცდელი, რომელიც წარსულს შემოდგომაზე განადგურებას უქადდა გურიას.

როგორც მკითხველს მოეხსენება, საზარელი ფიალა გურულებს ასცდათ, სხვათა შორის, იმის გამოც, რომ მათმა აღმოსავლეთის ძმებმა დეპუტაცია გაგზავნეს ნამესტნიკთან და აღუთქვეს, რომ უსისხლოდ, მშვიდობიანის ღონისძიებით დააშოშმინებდნენ აჯანყებულს გურულებს, რომელნიც მოწყვეტილნი იყვნენ მაშინ არამც-თუ რუსეთს, არამედ საქართველოსაც, და არ იცოდნენ ოქტომბრის მანიფესტის გამოსვლა. დეპუტაციის შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და მისი იმედიც აღსრულდა სავსებით: გურია გადარჩა სისხლის ღვრას, განადგურების შიშს რუსეთის ჯარის მიერ და მშვიდობიანად განაგრძო განმათავისუფლებელი მოძრაობა. ესევე ნაცადი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ ტფილელმა ქართველებმა ახლაც, ვსცადოთ და იქნება გადავარჩინოთ სისხლის ნაკადულებს, დარბევასა და გადაწვას მთელი დასავლეთი საქართველო. უნდა იქმნას ამორჩეული დაუყოვნებლივ, დღესვე, ქართველთა დეპუტაცია, რომელმაც სწორედ ისევე უნდა იმოქმედოს, როგორც იმოქმედა შემოდგომის დეპუტაციამ. ეს დეპუტაცია ადვილად გაუთვალისწინებს და დაუმტკიცებს ნამესტნიკს, რომ დასავლეთ საქართველოში შეიარაღებული მოძრაობა არის მხოლოდ შტო რუსეთის საერთო მოძრაობისა, იმერნი მხოლოდ ძმურს სოლიდარობას იჩენენ ამ შემთხვევაშიაც თავის ჩრდილოელ მოძმეებთან, სრულიად მოშორებულნი არიან პოლიტიკურს სეპარატიზმსა და თუ კიდევ აგრძელებენ შეიარაღებულს მოძრაობას, ეს იმის გამო, რომ არ იციან, მისვლა-მოსვლის შეწყვეტის გამო, საერთო გაფიცვის გათავება რუსეთში.

იაკობ გოგებაშვილი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 5 იანვარი. დაჟინებით ამბობენ, კავკასიის ნამესტნიკი სამსახურს თავს ანებებსო. იმის ალაგას ასახელებენ გენ. გროდეკოვსა და მიშჩენკოს. ასახელებენ აგრეთვე მოსკოვის ახლანდელ გენერალ-გუბერნატორს დუბასოვს. ბალტიის ზღვის ქალაქებიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ყველა დაპატიმრებულს ახრჩობენ და ხვრეტავენო. მინისტრთა საბჭოში ლაპარაკი აღძრეს იმის შესახებ, რომ სამართალში მისცენ ყველა სამხედრო სამსახურის კაცი, ვინც კი საქმის გაურჩევლად ხალხს ხოცავს. დურნოვო ამის წინააღმდეგია. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, გუბერნატორებს უფლება მიეცეთ

შ ე კ ი თ ხ ვ ა

„ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალო“, ამბობს ბრძნული ქართული ანდაზა. სწო- ძველსა მეგობარსაო“. ძველი მეგობარი იყო თვითმპყრობელობა, ძველი გზა—განუსაზღვრელი თვითნებობა. ბ-ნი შინაგან საქმეთა მინისტრი მტკიცედ ასრულებს ანდაზას და ყურადღებას არ აქცევს თავის ამხანაგებს.

როგორც გაზეთი „ნაროდნოე ხოზიასტვო“ იტყობინება, მინისტრთა კომიტეტის წევრები ტირილით და გულში მუშტების ცემით სჩივიან: „ჩვენ აღარაფერს გვეკითხებიან. ეხლა ყველაფერი მოსალოდნელია. ყოველ საქმეს სწყვეტს ცარსკოე სელოში პატარა წრე, რომელშიაც შედიან პობედონოსცევი, ტრეპოვი, დურნოვო, სტიშინსკი, შტიურმერი, გორემიკინი და იგნატიევიო“.

ეს „ტკბილი კომპანია“ როგორც მოგეხსენებათ, მკითხველო, მოტრფიალეა თვითმპყრობელობისა, ძლიერის მთავრობისა და მასთან განუყრელ თვითნებობისა. ბ-ნი დურნოვოც სცდილობს. კაბინეტში იყო იუსტიციის მინისტრად ბ-ნი მანუხინი. იმის მინისტრობის დროს ზოგიერთმა ლიბერალმა პროკურორმა დამოუკიდებლობა, ესე იგი თავხედობა, გამოიჩინა პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეებში. ბ-ნი დურნოვოს და, რასაკვირველია, იმის დამქაშებსაც ეს არ მოსწონდათ. „აღიკვეთოს ავი ზნეო“, ბრძანა დურნოვომ. „აღიკვეთოსო“, მისცეს ბანი დამქაშებმა... მანუხინი ძირს! იქმნას აკიმოვი! გაზეთების სიტყვით (ნუ კი დაიჯერებთ!) აკიმოვი რეაქციონერია. მკითხველო, ეხლა ხომ გაიგე გაუგებარი. ღმერთმანი, გამოსაცნობი მერგება. თუ სახელმწიფო სათათბიროში მოხვდე, უთუოდ მე ამომირჩიე მინისტრად, რისაც გინდა, ყველა საქმისთვის გამოვდგები, ცოდნა ხომ საჭირო არ იქნება.

* *

მკითხველო, იქნება გულუბრყვილოდ გგონია, რომ მარტო ბობოლა მინისტრები არიან დაჩვეულნი თვითნებობას და რაც უნდათ, იმას სჩადიან. შემცდარხარ, თუ ეგრე ფიქრობ. დალოცვილი რუსეთი რის თავისებური ქვეყანაა, რომ მარტო ბობოლებს ჰქონდეთ თვითნებობის უფლება. ყველა, ვინც კი „ნაჩალსტვოდ“ იწოდება, აღჭურვილია ხსენებულ უფლებით. ლითონ სიტყვად რომ არ ჩამომართვა, უტყუარ საბუთს წარმოგიდგენ. გაზეთ „რუსკოე სლოვო“-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი: „14 ნოემბერს ეკატერინოსლავიდან მოსკოვში მოვიდა მსახიობი ანტონოვი... ნელად მსვლელ ბარგად (грузомъ малой скорости)!? გიკვირთ? იქნება ღიმილი მოგდით? მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ჩემ თვალწინ ძევს ეკატერინეს რკინის გზის ნაკლადნაია № 062477. ნელად მსვლელი ბარგი, სახელწოდება ბარგისა: ერთი ადამიანი. ნაკლადნაია მიცემული იყო ეკატერინოსლავის გუბერნატორის მოწმობით, № 2672. ჩემ თვალებს არ ვუჯერებდი: მეგონა, ცხედარი მოვიდა მეთქი. არა, ჩემ წინ ცოცხალი ადამიანი იდგა. მაგრამ იგი მსახიობია, და აი ბ-ნმა გუბერნატორმა არც აცივა, არც აცხელა და გამოგზავნა მსახიობი „ბარგად“. მსახიობი დასთანხმდა, რადგან წარმოდგენების საქმე ჩაიფუშა, და მშიერი დარჩა იმიტომ, რომ... აღარ ვიტყვი, რატომ. საშიშია ყველას დავანახვოთ ჩვენი ჭრილობანი. არავინ არის, რომ თავი გამოიდოს ადამიანის ღირსების ასე გაქელვისათვის ბატონ გუბერნატორის მიერ“.

ზღაპარია, თუ სინამდვილე?!

არ ვიცი, უფრო სინამდვილეს კი წააგავს.

* *

მე რომ ყოვლად შემძლე მინისტრი ვიყო, ეკატერინოსლავის გუბერნატორს ადამიანურ გრძნობების გასაღვიძებლად გავგზავნიდი კიეველ „ბოსიაკთან“, რომელზედაც მოგვითხრობს ბ. ბერდიაევი თავის წერილში „შავი რაზმები სახალხო მოძრაობათა ისტორიაში“. ეს იყო ოქტომბრის საშინელ დღეებში, როდესაც მთელი კიევი გმინავდა „შავ რაზმების“ ავაზაკობისაგან. „ერთი ბოსიაკთაგანი, ყოფილი ადამიანი, უზარმაზარი, გაყვითლებულის, ოდესღაც ლამაზის სახისა, რომელსაც ეხლაც ეტყობოდა ინტელიგენტობის კვალი, გახვეული რაღაცა ძონძებში, მივიდა მცხოვრებთა ჯგუფთან. ახლოს ეყარა გაძარცულ ებრაელების ავლა-დიდება. ბოსიაკმა სთხოვა „На водку“, რადგან, იმის სიტყვით, კვდებოდა ნახევარ ბოთლის დალევის სურვილით. ერთმა ჯგუფში მდგომმა მიუთითა იქვე დაყრილ ნივთებზე. უნდა გენახათ, როგორის რისხვის სახით უთხრა „ყოფილმა ადამიანმა“ თავაზიან ქველმოქმედს: „უკაცრავად! მე ქურდი და მძარცველი არ გახლავარ! პატიოსნება ნებას არ მაძლევს ხელიც კი ვახლო სისხლით შეღებილ ნივთებს. თქვენის ნებით მოცემულ წყალობას კი გულწრფელის მადლობით მივიღებ, ბატონებო!“ იქ მდგომთ შეუკრიბეს ოთხ მანეთამდის. ბოსიაკმა ღირსებით დაუკრა თავი და ნელ-ნელა წავიდა“.

ხედავ, მკითხველო, ყველანი არ დაცემულან. დეე, ზევითა საფეხურებზე მდგომთ სთელონ ადამიანის ღირსება და იფარფაშონ. ძირა საფეხურებზედ ღვივის ადამიანისადმი სიყვარული და პატივისცემა იმის პიროვნებისა. შორს არ არის ის დრო, როდესაც ბოლო მოეღებათ ადამიანის შეურაცხმყოფელ ჯალათებს!

* *

იმ დღესაც პიროვნება გაჰქელეს, გასრისეს.

ცხრა იანვარი იყო. მზე ჯერ კიდევ ანათებდა. არ ეგონა, რომ მოწმე გახდებოდა საშინელ დანაშაულობისა.

ვინ იცის, რამდენ საუკუნოების განმავლობაში დაცურავს ცაზედ და დაჰყურებს თავის შორეულ ძმას, შავ დედა-მიწას! ვინ მოსთვლის, რამდენჯერ შეკრთალა მისი ნათელი და თბილი სხივი ამ ქვეყნის ძლიერთა ავაზაკობისაგან! ვინ გაიგებს, რამდენჯერ დამალა პირი ღრუბელში, რომ არ ეცქირნა შავ-ბნელ საქმეებისათვის! არავინ არ იცის, ვერავინ მოსთვლის, ვერავინ გაიგებს.

მაგრამ იმ დღის შავ-ბნელი საქმე მზისათვისაც-კი მოულოდნელი იყო...

ქედ-მოხრილი დღითი დღე მუშაობდნენ. ალევდნენ თავის ძალღონეს სხვის გამდიდრებას, თვითონ კი ხშირად ლუკმა პურიც არა ჰქონდათ შიმშილის მოსაკლავად. მაგრამ არა სჩიოდნენ. უდრტვინველად ეწეოდნენ მძიმე უღელს და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო...

ერთ დღეს მათ შორის ღვთისნიერი ადამიანი გაჩნდა. ქრისტეს მოძღვრება მიუტანა მაშვრალთ. მგრძნობიარე სიტყვა გულამდის სწვდებოდა. შეიყვარეს მშიერ-მწყურვალთ ღვთისნიერი ადამიანი. ის გახდა იმათი ნუგეში, იმათი მცველი, იმათი შუამავალი.

ჭირსა და ლხინს უზიარებდნენ თავის მამას, თავის მეგობარს.

დღე დღეს მისდევდა; ღამე ღამესა.

ღვთისნიერი ადამიანი შეუსისხლხორცდა ახალ სამწყსოს. გადაიშალა იმის თვალწინ უიმედო, სიხარულს მოკლებული ცხოვრება მუშა ხალხისა. შიმშილი, წყურვილი, სიცივე, სიბჩავე, სიბნელე... აი რას ხედავდა ყოველდღე ღვთისნიერი ადამიანი. გული ჯავრით აევსო, თვალებში რისხვის ცეცხლი აენთო.

„არა, არა! შეუძლებელია ამდენი ტანჯვის ატანა. უნდა მოისპოს საშინელი უსამართლობა“, ამბობდა ის ადამიანი, მაგრამ როგორ? რა გზით?

დაჩიავებულს, მორჩილებას მიჩვეულს, მოთმინებაში აღზრდილს განა აამხედრებ უსამართლობის მოსასპობლად! ერთი გზა არის. წავალთ თავმოხდილი, წავიმძღვარებთ ჩვენ ზეციერის მამის ხატს, მოვიდრეკთ მუხლს და შევჩივლებთ ჩვენს ვარამს, ჩვენს უბედურებას, ჩვენს სიღარიბეს. მოგვისმენენ, თვალები ცრემლებით აევსებათ და გვეტყვიან: „ადექით, მაშვრალნო. არ ვიცოდით თქვენი ტანჯვა, არ გვესმოდა თქვენი კვნესა. ეხლა ვხედავთ ჩვენ დანაშაულს და დაუყონებლივ გავასწორებთ...

გული აუღელდა ტანჯულ ხალხს. იმედი გაეღვიძა: ხვალ ხსნა მოგველის...

გათენდა ცხრა იანვარი.

დაიძრა მშიერ-მწყურვალთა ჯარი. მიდის წინ მხიარულად, აღფრთოვანებული...

თოფებმა იგრიალეს... მზემ პირი დამალა ღრუბელში.

ყ3ვი

დაითხოვონ ყველა არა სამედო მოხელენი. ადმინისტრაცია სასამართლოს საქმეებში ერევა, რის გამოც ახალი მინისტრი აკიმოვი სამსახურს თავს ანებებს. შლისელბურგის ციხეს აუქმებენ. პატიმრებს ამ ციხიდან პეტერბურგში გადმოიყვანენ. ადმინისტრაციის მიერ დაპატიმრებულებს განთავისუფლებენ.

რევოლიუცია მოსკოვში

(იხ. „ცნ. ფურ." № 2974)

18 დეკემბერს სისტემატიური სროლა აღარა ყოფილა, მაგრამ პრესნის ნაწილს ჯარი მაინც გარს ერტყა. ქუჩებში ალაგ-ალაგ მოკლულთა გვამები ეყარა. პრესნის ნაწილში ერთ ალაგას გვამების ხროვა იყო. ვაგანკოვის სასაფლაოზე მრავალ ხალხს ასაფლავებდნენ. აქა-იქ შეგხვდებოდათ ეტლები სახლების ავეჯეულობით. როდესაც ჰკითხავდნენ, რათ მიდიხართო, უპასუხებდნენ, „ნაბრძანები გვაქვს გადივსახლდეთო". ქალაქის დანარჩენ ნაწილებში ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. ბევრგან დრაგუნის და ქვეითა ჯარის კაცების პატრულები მოხსნეს და მათ ალაგას ისევ პოლიციელები დააყენეს, რომელნიც თოფებით არიან შეიარაღებულნი და ჯგუფ-ჯგუფად დგანან. ალაგ-ალაგ გამვლელ-გამომვლელებს სჩხრეკენ, მეტადრე საღამოს 6 საათის შემდეგ. საღამოს 9 საათზე პრესნის ნაწილში ისევ ცეცხლი გაჩნდა. ამბობენ, პროხოროვის ფაბრიკაში 17 დეკემბრის სროლის დროს არა ყოფილან არც მუშები და არც რაზმელები. მხოლოდ ერთ შენობაში სანიტართა რაზმი იყო. ეს რაზმი ერთ დღე-ღამეს საშინელ მდგომარეობაში იყო, მაგრამ მაინც არც ერთი კაცი არ დაჰკლებია.

პრესნის ნაწილიდან გაქცეულ ხალხს საშინელი ამბები უამბნია. 17 დეკემბერს დილით ადრე ისინი გამოაღვიძა ზარბაზნების გრიალმა და ყუმბარების ჭექამ. შეშინებულნი, ქუჩაში გაცვივდნენ. ზოგი ნახევარზე ტიტველი იყო, და ზოგს კი რაც ხელში მოხვდა, ის ეცვა. გარბოდნენ და ჰხედავდნენ როგორ ეცემოდნენ ძირს მეზობლები თოფ-ზარბაზნებისაგან. ამისდა მიუხედავად ბევრნი მაინც წინ გარბოდნენ იმ იმედით, რომ თავს უშველოთ როგორმეო, მაგრამ ტყვია და ყუმბარა არავის არ ინდობდა და ისინიც ბუზებით იხოცებოდნენ. ზოგნი ისევ სახლებში დაბრუნდნენ და იქ ელოდნენ სიკვდილს. ბევრნი ამათგანი დაიჭრნენ. გაქცეულებიც ბევრია დაჭრილი. კორონუხინის ქუჩიდან სჩანდა მდინარე მოსკოვის გაყინული ზედა პირი, რომელიც მოფენილი იყო მოკლულთა გვამებით. შორიდან სჩანდა, რომ ზოგი დაჭრილი ადგომას სცდილობდა, მაგრამ სროლა მაინც არ სწყდებოდა და ყინულზე მოძრაობა თანდათან ხელდებოდა. შემთხვევით მსხვერპლი მრავალია და, სხვათა შორის, არის ერთი ფოსტალიონის ცოლი, რომელიც თურმე სამოვართან იჯდა თავის სახლში. ეს ქალი ხელშია დაჭრილი ზარბაზნის ყუმბარისაგან. ამგვარსავე მსხვერპლებს ეკუთვნის აგრეთვე ორი ქალი: ერთი სახლის პატრონის შუგლერის ქალი და მეორე მისი აღმზრდელი. ბაღში სეირნობის დროს პირველი დაჭრილა და მეორე იქვე მომკვდარა ზარბაზნის აფეთქებულ ყუმბარისაგან. 14 დეკემბერს შემთხვევით დაჭრილა მასსაჟისტი სმირნოვი; მის ნაცნობს მასთან ხირურგი გაუგზავნია ჭრილობის შესახვევად, მაგრამ იგი არ მიუშვიათ. მაშინ ეს დოსტაქარი და მასთან სამი მოწყალების და არბატის ქუჩაზედ მისულან დაჭრილის წამოსაყვანად, მაგრამ მათთვის ტყვია დაუშენიათ. დაჭრილი სმირნოვი მალე მომკვდარა.

ამ საშინელების დროს ეგრედ წოდებული „რუს ხალხთა კავშირიც" არ დარჩენილა უმოქმედოდ. ნიკოლაევის სადგურზე მიუტანიათ ერთი ყუთი, რომელიც მიუღიათ ჟანდარმებს. გაუხსნიათ ყუთი და შიგ უნახავთ მოწოდება ყაზახებსა და სალდათებისადმი „რუს ხალხთა კავშირისა". პატრიოტები ამ მოწოდებით ურჩევდნენ ყაზახებსა და სალდათებს რევოლიუციონერების ამოჟლეტას.

ვოზდვიჟენსკის ქუჩაზე 10 დეკემბერს თურმე ერთი ყრუ მიდიოდა. პატრულმა რაღაც დაუყვირა. ყრუმ ვერ გაიგონა. იგრიალა თოფმა და ყრუ იქვე დაეცა დაჭრილი. საბრალო პატარა ხანს უკან წამოდგა და კედელს მიეყუდა. ამ დროს იგრიალა თოფმა და ყრუ ხელმეორედ დაეცა უსულოდ.

12 დეკემბერს ასეთი შემთხვევა იყო: ერთ კაცს დრაგუნები გამოუდგნენ. კაცი გაიქცა, მაგრამ ცხენიანებს რას გაუწრებოდა? დრაგუნები წამოეწივნენ. მაშინ კაცმა ხერხი იხმარა: ცხენებს ფეხებ ქვეშ გაუწვა. ცხენებმა გზა აუქციეს. დრაგუნები სცდილობდნენ, რომ ცხენები კაცზე შეეყენებინათ, მაგრამ ტყუილად. ცხენები ახლო არ ეკარებოდნენ. მაშინ ერთი დრაგუნი ცხენიდან ჩამოხტა, ალვირი ამხანაგს მისცა, ამოღებული ხმლით მწოლიარე კაცი დასჩეხა, ისევ შეჯდა ცხენზე და გზას გაუდგა.

თუ როგორ გაურჩევლად ისროდა ჯარი აქეთ-იქით და ჰხოცდა უდანაშაულო ხალხს, კარგად სჩანს იმ წერილებიდან, რომელიც საშინელ ტრაგედიის დასრულების შემდეგ იბეჭდებოდა გაზეთებში. ამ წერილებში აწერილია, რამდენ ხალხს დაუშინეს სრულიად უმიზეზოდ თოფი და ზარბაზანი, რამდენმა ხალხმა გაათენა საშინელი ღამე სრულიად უმიზეზოდ. ასეთ უაზრო სროლის მიზეზი იყო, ალბად, ის, რომ დახოცილთა შორის სულ ცოტა მოჰყვა ნამდვილი მებრძოლი. ამბობენ, ორმოცზე მეტი არ უნდა იყოსო, მაშინ, როდესაც, საზოგადოდ, მარტო დახოცილთა რიცხვი ათასამდის ადის. მილიციონერები, როგორც ყველანი მოწმობენ, საოცარის გულადობით და მხნეობით მოქმედებდნენ და სიკვდილს არ ერიდებოდნენ. ერთ რაზმს ზარბაზანიც კი წაართვეს, მაგრამ რაკი მისი მოხმარება არ შეეძლოთ, იძულებულნი იყვნენ ისევ მიეტოვებინათ და თითონ კი უკან დაეხიათ. ასე დასრულდა მოსკოვის რევოლიუცია. იმ მოსკოვისა, რომელიც აქამდის რუსეთის სიბნელის და შავი რაზმელების ბუდეთ ითვლებოდა.

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

4 იანვარი.

პეტერბურგი, 4 იანვარი. ვაჭრობის სამინისტრომ თანხმობა განაცხადა დროებით დახურულ ქარხნების მუშებს ნება მიეცეთ სათათბიროსთვის წარმომადგენელთა არჩევისა.

ყველა პარტიებმა აღძრეს საკითხი, იმ ექვს ადგილში, რომელნიც სათათბიროში აქვთ მუშებს, ერთი მიეცეს პეტერბურგელ მუშას. მოსკოვშიც აგრე მოიქცევიან ალბათ. საერო მინისტრის განკარგულებით, გაზაფხულზე იმ გიმნაზიებში, სადაც უმცროს კლასებში ბერძნული ენა არ იყო სავალდებულო, არ გამოსცდიან ამ ენაში აბიტურიენტებს, არც ექსტერნებს. ამ ჟამად ათ გიმნაზიაშია სავალდებულო ბერძნული ენა. მომავალ წლიდან ეს ენა არ იქნება არავისთვის სავალდებულო. სამოსამართლო პალატაში ხალხის დაუსწრებლად გაირჩა საქმე სოციალისტურ ჟურნალ „სვობოდა"-ს რედაქტორისა, რომელსაც ბრალი ედებოდა, რომ მან პირველ და მეორე ნომრებში მოათავსა ისეთი სტატიები, რომლებშიაც შეურაცხყოფილი იყო უზენაესი და სასულიერო მთავრობანი და რომელნიც მოუწოდებდნენ ხალხს არსებულ წეს-წყობილების დასანგრევად და არეულობაში მონაწილეობის მისაღებად. დამნაშავეთ ერთის წლის ციხე გადაუწყვიტეს. ჟურნალი სამუდამოდ მოისპო. სამოსამართლო პალატაში, ხალხის თანადასწრებით გაირჩა საქმე გაზეთ „ნოვოსტი"-ს რედაქტორ ნოტოვიჩისა, რომელსაც აბრალებდნენ ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის პეტერბურგის განყოფილების მოწოდების დასტამბვას. ნოტოვიჩს სამი კვირით ციხეში ჩასმა გადაუწყვიტეს.

ვარშავა, 4 იანვარი. სამხედრო წესების მე-11-ე სტატიის ძალით დახვრეტა გადაუწყვიტეს 11 კაცს; ესენი ეკუთვნოდნენ ანარქისტთა საზოგადოებას, რომელიც ბომბებს აკეთებდა და ესროდა ხალხს. ამათში 10 ებრაელია და ერთი პოლონელი.

ლონდონი, 5 იანვარი. დღის პირველ საათამდე აირჩიეს 171 ლიბერალი, 27 მუშა, 71 უნიონისტი და 50 ნაციონალისტი. ლიბერალებმა 87 ადგილი მოიგეს, მუშებმა 21, უნიონისტებმა 2. მინგემში აირჩიეს 7173 ხმით ჩემბერლენი (რეიტერი).

ბაქო, 5 იანვარი. მრეწველებმა ცივი უარი უთხრეს მუშებს გაფიცვის დროს ფულის მიცემაზე. ქარხნები მუშაობენ.

მოსკოვი, 5 იანვარი. გაიხსნა სრულიად რუსეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრების ბიურო. თვითეულ გუბერნიიდან ორ-ორი კაცი მოვიდა. ბიუროს პროგრამაში, არჩევნებს გარდა, შედის საკითხები გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ ზომების მიღებისა და უმიწწულო გლეხთა მდგომარეობის პრაქტიკულად გაუმჯობესების შესახებ. კავკასიის და ბალტიის პირა მხარის წარმომადგენელნი ვერ მოვიდნენ.

ვერსალი. 5 იანვარი. სენატის ვიცე-პრეზიდენტმა დიუბოსტმა მოახსენა კონგრესს არჩევნების შედეგზე. ფალიერმა მიიღო 449 ხმა, დიუმერმა 371. მემარცხენეები ოვაციებით მიეგებნენ რესპუბლიკის პრეზიდენტ ფალიერს და ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს რესპუბლიკასაო".

ვერსალი. ფალიერ რესპუბლიკის პრეზიდენტად 7 წლის ვადით იქნა არჩეული; ეს ვადა ძალაში შევა დღიდან ლუბეს რწმუნების, ესე-იგი თებერვლის 5 (18)-დან.

პარიზი. 5 იანვარი. მთელი რესპუბლიკანური პრესსა სალამს უძღვნის ფალიერს არჩევას და აღნიშნავს ვერსალის კონგრესის წესრიგსა და მშვიდობიანობას. გაზეთები ფიქრობენ, რომ არჩეულ იქნა პატიოსანი ადამიანი, ერთგული რესპუბლიკელი, რომელიც უზრუნველჰყოფს საფრანგეთის მშვიდობიანობასა და სიმშვიდეს. ფალიერ ისეთივე დემოკრატია, როგორც ლუბე, კლემანსო და ჟორესი.

მიტავა. 5 იანვარი. გუბერნატორმა ნება დართო განახლდეს ტუკუმ შემნახველ კასის მოქმედება და დაუბრუნდეს წართმეული 300,000 მანეთი.

კავკავი, 5 იანვარი. გუშინ ღამით ავაზაკები დაეცნენ სახელმწიფო სარუე დუქნების ფულის ამკრეფელს, წაართვეს მთელის დღის შემოსავალი და დაჭრეს ვაჟი და ქალი. საკრედიტო ამხანაგობის გაძარცვა უკუგდებულ იქნა მილიციის რეზერვით. ერთი ყაზახი მოკლულ იქნა. ამას წინად გაძარცვეს სამი საქარხნო ფაბრიკა. წაიღეს 26 ფ. დინამიტი.

ჩირკასი, 5 იანვარი. გლეხები ტყეს ჩეხავენ ზოგიერთ ადგილს მაზრაში და მოსამსახურეებს ჰფანტავენ. გაიგზავნა დრაგუნები და არტილერია წესიერების აღსადგენად.

ვარშავა, 5 იანვარი. მეცადინეობა შეწყდა თითქმის ყველა დაბალ საქალაქო სასწავლებლებში.

პეტერბურგი, 5 იანვარი, სხვა და სხვა პარტიების გამოკვლევით 30,000 მუშას აქვს საარჩევნო ცენზი, როგორც ბინის მოქირავეთ.

პეტერბურგი, 5 იანვარი. მთავარმა შტაბმა ცნობა მიიღო, ზაკასპისკი მხარეში სრულიად სიმშვიდეა აღდგენილი და რკინის გზა წესიერად მოქმედებს. ღურნოვომ აკრძალა პირველი ნომერი სატირიულ ჟურნალ „გვოზდ"-ისა. — ადესის უფროსი გრადონაჩალნიკ ნეიდგარდტს წინადადება მიეცა, მოვიდეს პეტერბურგში და პირადათ ახსნას იმ ზომების მიზეზები, რომელნიც მან იხმარა ადესაში არეულობის ჩასაქრობად. გუშინ საერო მინისტრის თავმჯდომარეობით გაიხსნა რჩევა 9 რექტორისა და 35 ამორჩეულ პროფესორისა უნივერსიტეტის რეფორმის შესახებ.

ხარკოვი, 5 იანვარი. რკინის გზის გაფიცვის საქმე გამომძიებელის ხელში გადადის.

შუია, 5 იანვარი. მაზრაში გლეხები თავის ნებაზე სჩეხავენ ტყეს და აცხადებენ, რომ ტყე მათ კუთვნილებად ჩაირიცხება.

ჰამბურგი, 5 იანვარი. ქალაქის სამმართველომ გადასდო ათი-ათასი მარკა რუსეთში მცხოვრებ გერმანელების სასარგებლოთ.

პეტერბურგი. 5 იანვარი. გენ.-ლეიტენანტი ბარონ მეილერ-ზაკომელსკი ტელეგრამით აცნობებს მისს უდიდებულესობას უფიდან 4 იანვრის თარიღით: „სამარა-ზლატოუსტის გზაზე სრული წესიერებაა, ორივე მხარეს დაუბრკოლებლად სწარმოებს მიმოსვლა, ტელეგრაფი მუშაობს, გზების სამმართველოს კომიტეტები სარგებლობა მოაქვთ". — გენ.-ად. სტრუკოვი ტელეგრაფით ატყობინებს საშინაო მინისტრს 4 იანვრის თარიღით, ვორონეჟიდან: „აგრარული მოძრაობა ვორონეჟის გუბერნიაში მიწყნარდა, მაზრებში სიმშვიდეა, ქალაქ ვორონეჟში და სადგურებზე წესიერებაა. მივდივარ ტამბოვისაკენ".

პეტერბურგი. 5 იანვარი. ბალტიის პირა მხარის გენ.-გუბერნატორი შემდეგს აუწყებს გრაფ ვიტტეს: გენ.-მაიორი შიფი მაუწყებს ვენდენიდან: „გუშინ, სამშაბათს, ვენდენისა და ვოლმარის მაზრების 46 ვოლოსტის დელეგატებმა მორჩილება და დამშვიდება გამოიცხადეს და მოვალედ რაცხვენ თავიანთ თავს დაემორჩილონ ბალტიის პირა მხარის გენ.-გუბერნატორის განკარგულებას 12 დეკემბრიდან. საზოგადოთ, ესტლიანდიისა და ლიფლიანდიის გუბერნიების დამშვიდების საქმე წარმატებით მიმდინარეობს. კურლიანდიის გუბერნია ცოტათი ჩამორჩება სხვებს ორს, მაგრამ უკანასკნელ კვირაში იქაც წარმატა საქმემ, 20-ზე მეტი მთავარი აგიტატორი დაპატიმრე სხვა და სხვა ადგილებში, 8 მოჰკლეს. გაქცეულმა რევოლიუციონერებმა უმეტესად რიგას მიაშურეს, სადაც პროპაგანდას ეწევიან და განაგრძობენ თავიანთ მოქმედებას, ამიტომ რიგას საჭიროა თავი და თავი ყურის გდება. რაც შეიძლება, ზომებს ვხმარობთ მოვსპოთ პოლიციელების და ჯარის კაცების ცალკე მკვლელობანი."

მოსკოვი. 5 იანვარი. დეკემბრის აჯანყების საქმის გამოძიება გრძელდება, რადგანაც აუარებელი კაცია დატუსაღებული და მრავალი საქმეა, რომელნიც აჯანყების საერთო ძაფით არიან გადაბმული. მოსკოვ-კურსკის გზის სახელოსნოებში დაატუსაღეს 60 კაცი, რომელთაც აღმოაჩნდათ ორი ბომბა, რევოლვერები, პატრონები და სხვა იარაღი. სემიონოვსკი პოლკის წასვლის შემდეგ მოსკოვის გარნიზონი ქვეითა 3 პოლკითა და საპიორთა ერთი, ბრიგადით გაძლიერეს. პროხოროვის მანუფაქტურიდან 800 მუშა გააგდეს. ახალ კორპუსის კედლებში იპოვნეს წალდები, რომელნიც საგანგებოდ იყვნენ გამართული ინჟინერის მიერ ასაფეთქებელ ნივთიერებათა შესანახავად.

პეტერბურგი. 6 იანვარი. 6 იანვარს სამხედრო წესები გამოაცხადეს აკმოლინსკის ოლქსა და სემიპალატინსკისა და ჩელიაბინსკის მაზრებში, ორენბურგის გუბერნიაში.

შლისელბურგის სახელმწიფო ციხე და მასთან დაარსებული დაცვა უმაღლესის ბრძანებით უქმდება.

მოსკოვი, 6 იანვარი. ობუხოვის შესახვევში, ახალგაზრდა ქალის ბინაზე, რომელიც თავის თავს კოზლოვსკაიას უწოდებდა, იპოვნეს რკინის ყუთი რვა ბომბით. ამასთან ბინაზე დაატუსაღეს ორი ქალი და ახალგაზრდა კაცი აღმოაჩინეს იარაღი და მიწერ-მოწერა, რომლისაგან სჩანს, რომ ეს ბომბები დანიშნული იყო დღევანდელ წყალ-კურთხევისთვის. განზრახული იყო, გამოეწვიათ არეულობა და გენ.-გუბერნატორი მოეკლათ. ერთმა მთავარ მონაწილეთაგანმა დეკემბრის აჯანყებისამ ფაბრიკანტმა შმიდტმა სრულიად მოინანია. მუშები ირწმუნებიან, რომ ხმები, ვითომც 9 იანვარს აჯანყება უნდა მოხდეს, ტყუილია. მოსკოვში ყველა ფაბრიკები იმუშავებენო.

ვილნო, 6 იანვარი. დაატუსაღეს რედაქტორ-გამომცემელი „სევერო-ზაპადნი გოლოს"-ისა რადინი.

პეტერბურგი, 6 იანვარი. პეტერბურგს გარედ ხდება საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის კრება. სამეცადინო საგნები: 1. ბიუროს ანგარიში და მისი მოქმედება; 2. კავშირის მომავალ მოქმედების ხასიათი, 3. საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კრება; 4. კავშირის ფინანსიური შეძლება; 5. რეპრესიებთან ბრძოლა და 6 კავშირთა კავშირის წინადადების განხილვა. საზოგადოდ კრების შემდეგ გაიმართება რჩევა კერძო სასწავლებლების წარმომადგენლებისა იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა იქონიონ მათ რეპრესიებთან სახელმწიფო სასწავლებლებში.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

3 იანვარი

პეტერბურგი. ამომრჩეველთა რიცხვი პეტერბურგში 150 ათას გადამეტ ადის.

ლოძი. მთავრობამ აკრძალა გაზეთი „დონეც ლოძკი" და დაჰკეტა მისი სტამბა.

ნიუ-იორკი. 4 იანვარი. საფრანგეთსა და ვენეცუელას შორის დიპლომატიური დამოკიდებულება 28 დეკემბერს დაირღვა.

მოსკოვი. 4 იანვარი. დაატუსაღეს საერობო მოსამსახურეების კავშირის თავმჯდომარე ექიმი სმირნოვი.

ტაგანროგი. 4 იანვარი. დაატუსაღეს ს.-რევოლიუციონერთა პარტიის ყველა მეთაურნი. პარტიის სეკრეტარი ბრონოვსკი კისერში დასჭრეს და ყაზახები იცავენ წითელ ჯვრის საავადმყოფოში. ქალაქში მშვიდობიანობაა.

ხერსონი, 4 იანვარი. ქალაქსა და მაზრაში განაგრძობენ პოლიტიკურ დამნაშავეთა ჭერას. დაიჭირეს 70 კაცი, მათ რიცხვში არიან მასწავლებლები, ადვოკატები და საერობო ექიმები.

იაროსლავლი, 4 იანვარი. გუშინ შეკრებილი გაფიცული მუშები კორზინკინის ფაბრიკის გაჰფანტეს ყაზახებმა.

ქერჩი, 3 იანვარი. აქ ამზადებენ შენობას აჯანყებულ მატროსების გასასამართლებლად, რომელნიც ქერჩში იქნებიან გადმოყვანილი. ტყუილია გაზეთების ცნობა, ვითომც ამ საქმეზე სამოქალაქო დაცვას დაუშვებენო.

სევასტოპოლი. 31 დეკემბერი. გაზეთების ცნობები, ვითომც იმ გემებზე, რომელთაც ჯარი უნდა გადაეყვანათ, მატროსები აჯანყებულიყვნენ, ტყუილია. იყო მხოლოდ რამდენიმე ჩვეულებრივი შემთხვევა ურჩობის გაცხადებისა და დამნაშავენი პასუხის გებაში არიან მიცემული.

ჰელსინგფორსი. 4 იანვარი. 3 იანვარს ღამით აბობიერნეორგის გუბერნიის ქალაქ ტიურვისში ვაჭარ პასტონენის საიოლისწამლე საწყობიდან წაიღეს 80 კილოგრამი დინამიტი და 18 კილოგრამი თოფის წამალი.

ყაზანი. 4 იანვარი. ოლქის შტაბის განკარგულებით, ახლად გაწვეულ ჯარის კაცთა გამოცხადება გადადებულ იქნა საგანგებო ცნობამდე.

6 იანვარი.

პეტერბურგი. 5 იანვარს, დღის 3 საათზე ტენიშევის სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში გაიხსნა სრულიად რუსეთის კონ.-დემოკრატების სადელეგატო კრება. ცენტრალურ კომიტეტში შევიდნენ: ვერნუისკი, ვინავერი, ჰესსენი, თ. პავლე და პეტრე დოლგორუკოვები, კაბლუკოვი, კოკოშკინი, კოლიუბაკინი, კორნილოვი, კოტლიარევსკი, ლუჩიცკი, ლვოვი, მაქსიმოვი, მილიუკოვი, მანდელშტამი, მაკლაკოვი, მურომცევი, ნაბოკოვი, პეტროვსკი, პეტრუნკევიჩი, საბაშნიკოვი, ტესლენკო, ჩერნენკოვი, თ. შახოვსკოი, შჩეპკინი და იკუშკინი.

ბურზულმა. 5 იანვარი. 6 დეკემბრამდე გაცარცვეს 10 მამული. გლეხთა კრებამ, რომელიც ნოემბერში გაიმართა, საგლეხო ნადელად 15 დესიატინა დაადგინა.

რიგა. 5 იანვარი. დღეს, დილის რვის ნახევარ საათზე, სასაზინო პალატაში მოიჭრა შეიარაღებული ბრბო და მოიპარა ფულიანი ყუთები დოკუმენტებითურთ.

ვარშავა. 5 იანვარი. 3 იანვარს, დილის 7 საათზე, ვარშავის ციხეში დახვრიტეს შლემ როზენცვეიტი, იაკუბ გოლდშაინი, ხაიმ რისკინდი, შლემა შაერი და იანკელ პეპერი. ამათ ბრალდებოდათ მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა და ასაფეთქებელ ნივთიერებათა ხმარება.

ვილნო. 5 იანვარი. „ვილენსკი ვესტნიკი" იუწყება, სუვალკის გუბერნიის სადგურ ლოძეზე 3 იანვარს ღამით გაუძარცვავთ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და მოუკლავთ მის უფროსი შავირინი.

სარატოვი. 5 იანვარი ნოვოუზენსკში შეტაკება მოხდა ხალხსა და პოლიციას შორის, რაც მიტინგის აკრძალვამ გამოიწვია. ისპრავნიკი მძიმედ დასჭრეს თავში. გაიგზავნა ჯარები.

ნოვოჩერკასკი. 5 იანვარი. არეულობის ჩასაქრობად მოხალისეთ უწოდებენ სტანიცებიდან.

პეტერბურგი. გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება ბაქოს ნავთის მრეწველთათვის 20 მილიონ კრედიტის მიცემაზე.

ალდამ. 5 იანვარი. 2 იანვარს სომხები დაეცნენ კარაპირიმს, მუსულმანთა წმიდა ადგილს, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. 3 იანვარს ისინი დაბრუნდნენ ვეებერთელა ბრბოთი და რამდენიმე „ზალპი" მისცეს და ზარბაზნები ესროლეს მუსულმანებს. ამ წმიდა ადგილის დასაცველად და მუსულმანების გამოსახსნელად ადგნენ ახლო-მახლო სოფლები. გაიმართა ბრძოლა, რომელმაც 8 საათი გასტანა. სომხები გაიქცნენ, დაჰკარგეს რა მოკლულ-დაჭრილი 50-მდე კაცი. ალდამში მოვიდა ორი როტა ჯარი. მცხოვრებლებმა ჩააბარეს იარაღი. დღეს შუშაში დამშეულ მუსულმანებისათვის გაიგზავნა საზრდო სურსათი ჯარის თანახლებით. ელოდებიან ნამესტნიკის მიერ დაარსებულ რაზმს. მუსულმანები ღელავენ.

მოგილევი. 5 იანვარი. ოჩაკოვკისა და ძიგოვკის მამულებიდან გლეხებმა ბევრი წაიღეს. გაიგზავნა დრაგუნები.

ტომსკი. 6 იანვარი. ტექ. ინსტიტუტის და უნივერსიტეტის მასწავლებელთა შეერთებულ კრებაზე სასურველად იქნა ცნობილი მომავალ სემესტრში ორივე სასწავლებლის დახურვა.

ვარშავა. 6 იანვარი. 4 იანვარს ვარშავის ციხეში დახვრიტეს ხუთი წევრი ანარქისტების ვარშავის ჯგუფისა. „ვარშ. დნევნიკ"-ის სიტყვით, არეულობის გამო საზღვარ-გარედ გახიზნულები უკან ბრუნდებიან.

ეკატერინბურგი. 6 იანვარი. უბანის მთელს ოლქში სამხედრო წესები გამოცხადდა გარდა ეკატერინოდარისა, ეისკისა, მაიკოფისა, ანაპასა და კავკავის რკინის გზისა, რომლებშიაც გაძლიერებული დაცვაა უკვე შესული ძალაში.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**.

განცხადებანი

ქართველ მკითხველ მგზავრების საყურადღებოდ

სადგურ მიხაილოვის ბილეთის კასაში იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

1. „ცხოვრება და სიყვარული", თანამედროვე რომანი 320 გვ., ფასი 40 კაპ.
2. „ვარინკას ამბავი", თანამედროვე მოთხრობა, 100 გვ. ფასი 20 კაპ.
3. „ოჯახის და საკუთრების წარმოშობა-განვითარება", პროფეს. კოვალევსკისა, ფასი 20 კაპ.
4. „ლექსები და პოემები", ჩარხიშვილისა, 120 გვ., ფასი 15 კაპ.
5. „რამდენ მილიონ მანეთს ჰკარგავს იმერეთი სწავლისა და მეურნეობის მოუწყობლობით", ართმელაძისა, ფასი 10 კაპ.

ვინც ყველას ერთად იყიდის ან გაიწერს, მანეთად დაეთმობა. შეიძლება მარკებითაც და სხვა წიგნებზე გაცვლითაც.

მისამართი: Ст. Михайловъ кассиру Чархишвили. (4—1)

მსურს ვიყიდო

ერთ-ერთი უკვე არსებული სტამბა. ადრესი: ფოსტამტი მოთხოვნამდე მ. მ.-ს.

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას **სამკურნალო**,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის **პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**, სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

◆ კბილებს ◆

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—23).

„ცოდნა" ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის" მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება **დარბაზის მოსართავათ ქართველი მწერლების დიდი სურათები** 30 კ. 50 კ.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".

(წლ.) წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე**.

სწრაფმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართ. ამხ."-სა. ბანკის დიდი ქუჩა. ტელეფონი № 372.